პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ. ქ.
№ 4. მე-2 სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—43

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 39 სამშაბათი, 20 თებერვალი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10.000 მან. № 39

დღიური

პოლონეთ-ლიტვის საზღვრებზე მოხდა ჯარების შეტაკება.

ლიტვა წინააღმდეგია ერთა ლიგის დადგენილების ქალაქ ვილნოს შესახებ.

ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება უშედეგოთ დამთავრდა.

ესენში გერმანიის პოლიცია დაშლილია, მათი ყაზარმები საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს,

შეერთებულ შტატების სენატმა დაამტკიცა შეთანხმება ინგლისის ვალების შესახებ.

ა. წ. 18 მარტს თბილისში მოწვეული იქნება კომუნისტური ორგანიზაციების

ამიერ-კავკასიის მე-2-ე ყრილობა

პარტიულ ყრილობის დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის (პოლიტიკური და საორგანიზაციო) ანგარიში.
2. საკონტროლო კომისიის ანგარიში.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. ახალგაზრდობის კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მოხსენება.
5. ფინანსიურ რეფორმის შედეგები და საგადასახადო პოლიტიკა.
6. ეროვნული მომენტი საბჭოთა და პარტიულ აღმშენებლობაში.
7. საორგანიზაციო საკითხები.
8. სამეურნეო აღმშენებლობის საკითხები.
9. არჩევნები.
10. მიმდინარე საქმეები.

წარმომადგენლობის ნორმა—პარტიის ყოველ 100 წევრზე 1 დელეგატი.

რუს. კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო
კომიტეტის მდივანი—ა. **მიასნიკოვი.**

---

12 მარტისთვის მოწვეულია საქართველოს კომპარტიის

მე-2-ე ყრილობა

დღის წესრიგი:

1. ცეკას ანგარიში.
2. ცენტრ. საკონტროლო კომისიის და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკას ანგარიში.
4. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ბიუროს მოხსენება პროფკავშირებში მუშაობის შესახებ.
5. ეროვნული მომენტი პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში.
6. მიწის რეფორმის შედეგები.
7. სამეურნეო აღმშენებლობის ამოცანები საქართველოში.
8. არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: საქართველოს კომპარტიის 100 ნამდვილ წევრისაგან—1 დელეგატი.

წითელი არმია გზავნის დელეგატებს სამხედრო პარტიულ კონფერენციიდან საერთო წესით.

პარტიული ყრილობის გახსნის ადგილის შესახებ გამოცხადებული იქნება დამატებით.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი მიხ. კახიანი.

ქალ. თბილისის და თბილისის მაზრის
კომუნისტურ ორგანიზაციების კონფერენცია

იხსნება დღეს, 20 თებერვალს, სასახლის თეთრ დარბაზში, საღამოს 6 საათზე.

ონფერენციის წევრებმა მანდატები უნდა მიიღონ თავიანთ რაიონებში.

პარტიის წევრნი—სტუმრები დაშვებულნი იქნებიან კონფერენციაზე **მხოლოდ და მხოლოდ სასტუმრო ბილეთებით**, რომელთა რიცხვი განსაზღვრულია და ამ ბილეთებს გაანაწილებენ რაიკომები იაჩეიკებს შორის.

ცნობების მიღება შეიძლება სამანდატო კომისიის წევრთან ამხ. ამოსთან (საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი).

თბ. კომ. მდივანის მაგიერ **რუბენი.**

თბილ. მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა
დეპუტატების საბჭო

ო აცხადებს, რომ ფაქტიური გაერთიანება თბილისის მაზრის და თბილისის ქალაქის საბჭოების უკვე მოხდა, თანახმად ორთავე საბჭოების დადგენილებისა და შეერთებული საბჭო დღეიდან იწოდება „თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭო“ და მისი აღმასრულებელი ორგანო კი „თბილისის აღმასკომად“.

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი მოთავსებულია თავისუფლების მოედანზე (ყოფ. ერევნის მოედანი), სადაც უნდა მიმართონ როგორც ქალაქელ, ისე მაზრიდან ჩამოსულ ამხანაგებმა საქმეების შესახებ, რომელნიც შედიან გაერთიანებულ აღმასკომის კომპეტენციაში.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმი.

კრ. 201—1—1

ინსტრუქცია
წითელი არმიის 5 წლის თავის დღესასწაულის წესრიგის შესახებ.

თანახმად დადგენილებისა წითელი არმიის 5 წლის თავის დღესასწაულის შესახებ ამიერ-კავკასიის საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა გატარებულ იქნეს ცხოვრებაში შემდეგი:

1) მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები, რათა წითელი არმიის არც ერთი ნაწილი 5 წლის თავის დღესასწაულისათვის არ დარჩეს უშეფოთ.

2) შეფების ბიუროს და სხვა და სხვა შეფებთან ერთად და დღესასწაულის მომწყობ საგარნიზონო კომისიებთან შეთანხმებით გატარებულ იქნას მთელი რიგი ღონისძიებათა, როგორც წითელი არმიელთა და სამხედრო მეზღვაურთა სამეურნეო ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ისე მათი კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. (ყაზარმების შეკეთება და მოწყობა, საკომანდო და პოლიტიკურ შემადგენლობისათვის სათანადო ბინების მიცემა, გათბობა და განათება, საწოლების მოწყობილებანი, აბანოები და სამრეცხაოები, საპირფარეშოები და სხვა კულტურული ღონისძიებანი, წითელ არმიელთა შკოლების, კლუბების, ბიბლიოთეკების და სხვათა მოწყობა და მომარაგება).

3) გაეწიოს ყოველგვარი დახმარება ნაწილების სამხედრო-სამეურნეო მუშაობას, განსაკუთრებით სამხედრო კოოპერატივებს.

4) ყოველგვარი დახმარება გაეწიოს ნაწილებს ახალგაზრდა წითელ-არმიელთა და სამხედრო მეზღვაურთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში.

5) მოწყობილ იქნას ყაზარმების სამხედრო გმების, ფაბრიკა ქარხნებს შორის ურთიერთი დათვალიერება მშრომელთა, წითელ არმიასთან და ფლოტთან დასაკავშირებლად.

6) 23 თებერვალს გაიმართოს საბჭოების საზეიმო სხდომები, წითელი არმიის 5 წლის თავის აღსანიშნავად, მუშათა, წითელ არმიელთა და სამხედრო მეზღვაურთა თანადასწრებით.

მიღებულ იქნას მონაწილეობა ყაზარმებში და წითელ არმიელთა კლუბებში გამართულ საღამოებსა, კონცერტებსა და წარმოდგენებში, მუშების და მუშა-ქალების მიწვევით.

7) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამოქალაქო ომის ინვალიდების მდგომარეობას. ჩაბმულ იქნან ისინი დღესასწაულში და მოეწყოს მათ საპატივცემლოდ ზეიმი. გამოჩენილ იქნეს განსაკუთრებული მზრუნველობა ჰოსპიტალებში მყოფ ავადმყოფებისადმი.

8) მოწვეულ იქნან დღესასწაულზე და საზეიმო სხდომებზე ისინი, რომელთაც არ შესრულებიათ ჯარში გასაწვევი ჰასაკი და აგრეთვე დემობილიზაციით დათხოვნილი წითელი არმიელები.

გაიმართოს საპატივცემლო ზეიმი წითელი დროშის ორდენით დასაჩუქრებულ კავალერებისა და დაურიგდეს მათ საჩუქრები.

9) მოეწყოს უფასო წარმოდგენები, და კონცერტები წითელ არმიელთა, სამხედრო მეზღვაურთა და სამოქალაქო ომის ინვალიდებისათვის.

10) გაეწიოს ყოველგვარი მატერიალური და იდეური ხასიათის დახმარება დღესასწაულის მომწყობ საგარნიზონო კომისიებს და წითელ არმიის პოლიტ-ორგანოებს.

11) მთელი მუშაობა, აღნიშნულ წესის მიხედვით, უნდა იქნეს წარმოებული დღესასწაულის მომწყობ საგარნიზონო კომისიების და წითელი არმიის პოლიტ-ორგანოების საშუალებით.

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი
ბ. [illegible]

მუშის და გლეხის კულტურული კავშირისათვის

დღემდე ჩვენი ცხოვრების პრაქტიკამ იცის ერთი სახის შეფობა. ესაა შეფობა მუშათა ორგანიზაციების და საბჭოთა დაწესებულებებისა წითელ არმიის ნაწილებზე.

შეფობის ინსტიტუტს საკმაო ნაყოფი მოაქვს. გარდა მატერიალურ და კულტურულ დახმარებისა წითელ არმიისადმი, ის აახლოვებს მუშებს და წითელ არმიელებს, ამტკიცებს მათ შორის ძმურ კავშირს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფრიად სასურველია და შესაძლებელიცაა შეფობის იდეის გავრცელება, ამ ინსტიტუტის შემოღება სხვა მიმართულებითაც.

ჩვენ ვლაპარაკობთ მუშების შეფობის შესახებ გლეხობის მიმართ.

ეს აზრი ჩვენი გამოგონილი არ არის. პირველად ის წამოაყენა ამხ. ლენინმა თავის ცნობილ წერილში: „ფურცელი დღიურიდან“. ამ აზრმა მთელი მოძრაობა გამოიწვია, მან ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა პრესაში და მუშათა ორგანიზაციებში.

რაში მდგომარეობს საკითხის არსებითი მხარე?

საქმე ეხება მუშების და გლეხების კულტურულ კავშირს, პროლეტარულ იდეოლოგიის და სულისკვეთების გავრცელებას გლეხურ მასსებში.

კავშირის განმტკიცება ქალაქსა და სოფელ შორის, მრეწველობასა და სასოფლო-მეურნეობის შორის, ინდუსტრიალურ პროლეტარიატსა და მშრომელ გლეხობას შორის, — ეს კვლავ შეადგენს ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების უმთავრეს ამოცანათაგანს. ამაში მდგომარეობს ახალი ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი აზრი.

მაგრამ ეკონომიური დამოკიდებულების გამოცოცხლება ამ ორ მოძმე კლასს შორის საკმარისი არ არის. მას უნდა მოყვეს მჭიდრო კულტურული ურთიერთობის გაჩაღება. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში უფრო საჭიროა და მიუცილებელი გლეხობის რევოლიუციონური გათვითცნობიერება და მისი მოქცევა ქალაქის პროლეტარიატის იდეოლოგიურ გავლენის წრეში.

ამ ამოცანის განხორციელება, როგორც ფუნქციონალური ვალდებულება, დაკისრებული აქვს საბჭოთა ხელისუფლებას სათანადო აპარატის საშუალებით.

მაგრამ განუზომელი მნიშვნელობა ექნება თვით მუშათა ორგანიზაციების უშუალო ჩაბმას ამ საქმეში. თვითონ მათ უნდა აიღონ ინიციატივა გლეხობისათვის კულტურულ დახმარების მოწყობაში.

რა ფორმებში უნდა გამოიხატოს ეს დახმარება? ერთ უმთავრეს ფორმად ჩვენ მიგვაჩნია მუშათა ამა თუ იმ ორგანიზაციის შეფობა ამა თუ იმ პროვინციაზე, თემზე, სოფელზე.

მუშათა ესა თუ ის ორგანიზაცია თავის კულტურულ მზრუნველობის ქვეშ აყვანილ გლეხობას მიაწვდის გაზეთებს, წიგნაკებს, გააბამს მასთან ცოცხალ კავშირსაც.

მართალია, ჩვენი მუშები ჯერ კიდევ ღარიბნი არიან, მათ არ გააჩნიათ საკმაო საშუალება ამ ამოცანის შესასრულებლად.

მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მათ შეგნებული აქვთ თავიანთი მოვალეობა ჩამორჩენილ გლეხობის წინაშე, ისინი არ დაიშურებენ წვლილის გაღებას ამ საქმისათვის.

შედეგი კი უეჭველად დიდი მოყვება ამ ღონისძიებას. და პირველყოვლისა პოლიტიკური ხასიათის შედეგი.

გლეხობა მშვენივრად აფასებს ყოველგვარ დახმარებას, რომელიც მიმართულია მისი კეთილდღეობისაკენ, მისი ნივთიერ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ.

მუშების დახმარება ამ სფეროში ხელს შეუწყობს ჩვენი გლეხის გათვითცნობიერებას. ის იგრძნობს უფრო მჭიდრო კავშირს პროლეტარიატთან, შეითვისებს მის რევოლიუციონურ ამოცანებს, განიმსჭვალება მისი თვალსაზრისით.

ასეთი დიდი მნიშვნელობა ექნება პროლეტარიატის კულტურულ დახმარებას გლეხობისადმი. ოღონდ საჭიროა ამ მხრივ ფართე აგიტაციის გაჩაღება როგორც მუშებში, ისე გლეხურ მასსებში, საჭიროა ამ ღონისძიების აზრის პოპულარიზაცია და მისი ორგანიზაციულად მოგვარება.

ეს ჩვენ მიგვაჩნია პარტიის და მუშათა ორგანიზაციების ერთ მორიგ ამოცანად, რომელიც ღირსია განსაკუთრებული ყურადღების.

ლორდ გრეი საფრანგეთის წინააღმდეგ

ლორდ ედუარდ გრეი ძველი ევროპის ერთი იმ დიპლომატთაგანია, რომელთაც უშუალოთ მიუძღვით დანაშაულობა საერთაშორისო ომის გამოწვევაში. თუ ვინმე არის დღეს სუბიექტიურათ პასუხისმგებელი ევროპაში შექმნილ მდგომარეობისთვის, ამ პასუხისმგებლობას თავიდან ვერ აიცილებს ის პირი, რომელიც დასახული ყავს შეგნებული მასების წარმოდგენას, როგორც მპყრობელი გასისხლიანებული ხანჯლის, არწივისებური თვალებით და მოდარაჯე მორიგი მსხვერპლის მსოფლიოს სასაკლაოზე. ასეთი სახე სრულიად შეეფერება დიდი კოლონიალური სახელმწიფოს საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს.

ლორდ გრეი ეკუთვნის ფრანკოფილ პოლიტიკოსთა რიცხვს ინგლისში. საფრანგეთის ნაციონალისტური და იმპერიალისტური წრეები მასში ხედავენ თავიანთ კაცს. არა ერთხელ გამოსულა ის ლლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ, როდესაც გამწვავებულა დამოკიდებულება ინგლისისა და საფრანგეთის შორის. მიუხედავათ ამისა დღეს სწორეთ გრეი ამხედრდა საფრანგეთის წინააღმდეგ და ისიც რურის ოკუპაციის გამო. მისი აზრით რურის ოკუპაცია უმზადებს ევროპას ახალ კატასტროფებს. „მოლავწე“, რომელიც დახელოვნებულია ასეთი კატასტროფების მზადებაში, რომელიც ერთი უმთავრეს პასუხისმგებელთაგანია წარსული დიდი სისხლის ღვრისათვის, სწორეთ ასეთი ადამიანი იმაღლებს თითქოს ხმას ახალი ავანტიურის წინააღმდეგ. ეს, რასაკვირველია, რაღაც არა ბუნებრივი რამ მოვლენაა. ყოფილი მინისტრი დიდი ბრიტანეთს არ ეკუთვნის მშიშარათა რიცხვს, რომელსაც აფრთხობს ახალი მოსალოდნელი გართულებანი ევროპაში. საქმე აქ სხვა რამეშია.

გრეი არის ერთი ავტორთაგანი გერმანიისათვის „რკალის შემოვლების პოლიტიკის“, რომელსაც აწარმოებდა ინგლისი. მან, დიდ ომში გამარჯვებით მიაღწია თავის საბოლოო მიზანს, გერმანიის ძლიერების დაცემას. მაგრამ საბოლოო ლიკვიდაცია ამ ძლიერების (საფრანგეთის მიერ კონტინენტზე თავის სასარგებლოთ შექმნილ ძალთა განწყობილების გამო) მიმდინარეობს იმდენად აშკარათ წინააღმდეგ დიდი ბრიტანეთისა, რომ ბოლოს და ბოლოს ამ უკანასკნელის წინაშე იჭრება საფრთხე ახალი, შეძლება კიდევ უფრო საშიში, მოწინააღმდეგე გამოჩნდის საფრანგეთის სახით. და მართლაც ელზას-ლორენის და საარ-რურის რკინისა და ნახშირის სიმდიდრეთა და მათ დამმუშავებელ სამრეწველო დაწესებულებათა ხელში ჩაგდებით საფრანგეთი, სპობს რა გერმანიას, ჰქმნის ისეთ ბაზას თავის ძლიერებისას, რომელიც დაუმორჩილებს მას მთელ კონტინენტს. ეს გარემოებაა, რომელიც ყალყზე აყენებს ინგლისს. ამ სულისკვეთებამ საკმაოთ გამოხატულება ჰპოვა თემთა პალატის ახალი სესიის გახსნის დროს როგორც მეფის, ისე სხვა ხელმძღვანელ ორატორების გამოსვლებში. როგორც ლიბერალების, ისე კონსერვატორებისა და მუშათა პარტიის ორატორები ერთსულოვანნი არიან საფრანგეთის წინააღმდეგ. ამ საერთო ხმას შეუერთა თავისი გამოსვლაც ლორდ-გრეიმ, რომელმაც პირველათ დაარღვია თავისი ტრადიციული მეგობრული დამოკიდებულება საფრანგეთთან.

ეჭვს გარეშეა გრეის გამოსვლას ექნება დიდი გამოხმაურება საფრანგეთში. მაგრამ ის ვერ შესცვლის ფოშის ოპერაციებს და ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებს საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიის ბარონების გადაწყვეტილებაზე.

გერმანიის სიმდიდრეს ეპატრონება დღეს მტაცებელთა ერთი ჯგუფი, რომელსაც თავისი მდგომარეობით უფრო გრძელი ხელები აღმოაჩნდა, ვინემ დიდი ბრიტანეთის იმპერიალისტებს. ამას შეაქვს გათიშვა მოკავშირეებში, რასაც ველარ მალავს დღეს ვერც ერთი მონაწილე ანტანტის. თავიანთ მდგომარეობით და მისწრაფებით მათ არ ძალუძთ დააშუშონ ჭრილობანი, რომელიც მიაყენს ევროპას ჯერ ომით, შემდეგ ვერსალის ხელშეკრულებით, ხოლო სულ უკანასკნელათ რურის ოკუპაციით. ხირურგიული ოპერაცია, ევროპის ჭრილობის მოშუშება შეუძლია მხოლოდ მესამე ძალას, რომელიც სწვდება ყელში როგორც გამარჯვებული, ისე დამარცხებული ქვეყნების იმპერიალიზმს. ეს ძალა არის პროლეტარიატი. რამდენადაც ის დასძლევს შინაურ ავადმყოფობას ნაციონალსოციალიზმისას და რეფორმიზმისას, რომლებიც ღრღნიან მის მთლიანობასა და შეტევითი რევოლიუციონურ ენერგიას, იმდენათ მოახერხებს ის შეასრულოს თავისი დიადი მისია განაწამები კაცობრიობის წინაშე. ამას კი მოახერხებს ის, მხოლოდ კომინტერნის ხელმძღვანელობით და ერთიანი ფრონტის შექმნით.

რადიო-ტელეგრამები

რურის ოლქის ოკუპაცია

თვითეულ მაღაროს კარებს იერიშით იღებენ.

პარიზი, 19 თებ. დიუსელდორფიდან იტყობინებიან, რომ ბოხუმის ზოგიერთ მაღაროებში მემაღაროებმა კარი არ გაუღეს საფრანგეთის რაზმებს, რის გამოც რაზმის უფროსმა ბრძანება გასცა გაეღოთ კარები ვინტოვკებიდან და ტყვიისმფრქვევლებიდან სროლის საშუალებით.

პროცესები

ჰანოვერი. 18 თებერვ. სამხედრო სასამართლომ ბრედენში ბურგომისტრ შეფერს მიუსაჯა 3 წლის ციხე ან 5 მილ. მარკის რაოდენობით ჯარიმის გადახდა.

ვესტფალ-რეინის ელექტრონის ქარხნების დირექტორს ბუსსმანს მიუსაჯეს 5 მილ. მარკის რაოდენობით ჯარიმის გადახდა. ამ განაჩენების წინააღმდეგ განაცხადეს პროტესტი და მოითხოვენ საქმის გადასინჯვას.

გერმანიის მინისტრები ბოხუმში

ჰანოვერი. 18 თებერ. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მინისტრებს სასტიკად აკრძალული აქვთ რურის ოლქში შესვლა, 15 თებერვალს ორი გერმანელი მინისტრი გაემგზავრა ბოხუმში. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა დაათვალიერა ბოხუმის, დიუსელდორფის, დუისბურგის, მიულჰეიმის, ესსენის ფოსტა-ტელეგრაფის სადგურები და გაეცნო საქმის მდგომარეობას.

გაფიცვები

ჰანოვერი. 18 თებერ. დუედან იტყობინებიან, რომ მრავალ მაღაროებში ადგილი აქვს გაფიცვებს. ოფიციალური ცნობებით გაფიცვები მოედო მაღაროების 20-დან 80 პროც.

ინგლისის მუშათა პარტიებში

ჰანოვერი. 18 თებ. ინგლისის მუშათა პარტიის 28 წარმომადგენელმა დეპეშით აცნობეს პრეზიდენტ გარდინგს, რომ ინგლისი მხარს უჭერს უნებურად საფრანგეთის დაპყრობით მიზნებს.

პროვოკაცია

ჰანოვერი. 18 თებერ. საფრანგეთ-ბელგიის პროვოკაციული საქმიანობის გამო, ესსენში მოხდა შეტაკება პოლიციასთან, რომლის დროს დაჭრილია ბევრი ფრანგები.

„სანქციები“

ჰანოვერი. 18 თებერვ. საფრანგეთის ჯარებს და პოლიციის შორის მომხდარ შეტაკების შემდეგ, ესსენში, სანქციის სახით საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს ესსენის პოლიციის შენობა და დააპატიმრეს მრავალი პოლიციელები.

ბრბოსათვის სროლის ატეხა

ჰანოვერი. 18 თებერვ. 16 თებერვალს ესსენში საფრანგეთის საოკუპაციო ჯარებმა სროლა აუტეხეს ბრბოს, რომელიც მოგროვილი იყო შეფერის მიმართ სამხედრო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის განსახილველად.

ნახშირის კრიზისი გერმანიაში არ არის

ჰანოვერი. 18 თებერვ. გერმანიის ნახშირის საკითხების კომისარმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ გერმანიის მრეწველობას ჯერ კიდევ საკმაოდ მოეპოება ნახშირი.

საზღვრების გავლება

ჰანოვერი. 18 თებერ. ზონინშენიდან იტყობინებიან, რომ ინგლისის და საფრანგეთის საოკუპაციო ზონებს შორის გავლებულია საზღვრები და თვითეულ ზონას აქვს წარწერა, რომლითაც აკრძალული აქვთ შეიარაღებულ ფრანგებს ინგლისის ტერიტორიის გადალახვა და პირიქით.

ცდილობენ მოსყიდვას.

ჰანოვერი. 19 თებერ. პარიზიდან იტყობინებიან: დათხოვნილ გერმანელ მოხელეებს წინადადება მიეცათ, რომ თუ ისინი დათანხმდებიან ფრანგებთან სამსახურზე, იქნებიან „განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებში“.

მელზენ გირხენის დაკავება.

ჰანოვერი. 19 თებერ. 17 თებერვალს დილით საფრანგეთის რაზმები შეიჭრენ ქალ. მელზენ გირხენში. ქალაქის ოკუპაციას ხსნიან იმით, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტმა უარყო 100.000 მარკა ჯარიმა, რომელიც მას მიუსაჯეს ოკუპანტებმა. ქალაქი ფრანგების ხელში იქნება მანამდე, სანამ არ გადაიხდის მასზე დაკისრებულ ჯარიმას. საოკუპაციო ჯარებმა დაიჭირეს ფოსტა, რკინის გზა და საფინანსო სამმართველოები. ქუჩაში მოძრაობა აღკრძალულია საღამოს 7 საათიდან დილის 7 საათამდე.

აღშფოთებას იწვევენ თავისი მოქმედებით.

ჰანოვერი. 19 თებერ. გერმანიის პრესა ამბობს, რომ სამხედრო სასამართლოების სასტიკ გადაწყვეტილებებს უნდა გამოეწვია შიშის გრძნობა, და ამის მაგიერ იწვევს საყოველთაო აღშფოთებას. პასუხისმგებელი სახელმწიფო დაწესებულებანი დიდის გაჭირვებით ამშვიდებენ აღელვებულ ხალხს და თავიდან იცილებენ სერიოზულ შედეგებს.

იტალიის მონაწილეობა აიხსნება შიშით.

ჰანოვერი. 19 თებერვ. იტალიის სენატში მუსოლინმა განაცხადა, რომ იტალიის ეკონომიური და ტეხნიკური მონაწილეობა რურის ოკუპაციაში გამოწვეულია მით, რომ იტალია ვერ მისცემს ნებას თავის თავს აწარმოოს სულგრძელობის პოლიტიკა გერმანიის მიმართ. იტალია ძლივსძლიობით განაგრძობს არსებობას და მან უნდა მოიკრიბოს მთელი თავისი ენერგია, რათა არ გადაიჩეხოს უფსკრულში.

რურის გარშემო

მტრებთან დამოკიდებულების გამო.

ბორდო, 19 თებ. გაზეთ „ეკლენი“-ს ყოფილი რედაქტორი ჟიუდე, საფრანგეთში ჩამოსვლისას დატუსაღებულ იქნა მტრებთან დამოკიდებულების ჩამოგდებისათვის.

ხელთ იგდეს სპირტის საწყობები.

ჰანოვერი, 19 თებ. საფრანგეთის მთავრობამ დიუსელდორფში ხელთ იგდო სპირტის საწყობები—ყოფილი სახელმწიფოს მონოპოლია—რომლებიც შეიცავდენ 200,000 ლიტრა სპირტს-დენატურატს და 25 ლიტრა არაყს.

რეკვიზიციაზე პასუხი—გაფიცვა.

რომი, 19 თებ. ბელგიის საოკუპაციო ზონაში, ქვა-ნახშირის რეკვიზიციის საპასუხოთ მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა.

თემთა პალატაში.

ბორდო, 19 თებ. თემთა პალატამ 2 დღის კამათის შემდეგ უარჰყო მუშათა პარტიის მიერ რურის ოკუპაციის გამო დამუშავებული მეფისადმი მიმართვის დამატება.

„ინციდენტი მოგვარებულია სწრაფათ და სამართლიანათ“.

ბორდო, 19 თებ. ესსენის ინციდენტი, ორი ფრანგ-ჯარისკაცის მოკვლით გამოწვეული, დამთავრდა სწრაფათ და სამართლიანათ.

გერმანიის პოლიციის ყაზარმები დაკავებული არიან წინააღმდეგობის გარეშე და პოლიცია დათხოვნილია.

იპოვეს შემოსავლის წყარო.

პარიზი. 19 თებერვ. რეინლანდის მოკავშირეების უმაღლესი კომისიის თავმჯდომარემ განუცხადა „პტი პარიზიენის“ კორესპოდენტს, რომ ფრანგებმა და ბელგიელებმა რეინლანდში შექმნეს შემოსავლის სამი წყარო სახელდობრ: საბაჟო, რკინის გზა და ტყეები. რეინლანდის ექსპლოატაცია დაკავშირებულია რურში გენერალ დეგუტის მოქმედებასთან. რეინლანდის მცხოვრებლებს ემჩნევათ უკმაყოფილება, მაგრამ ძლიერი ნებისყოფა და დრო მიგვიყვანს სასურველ შედეგებამდე.

ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება

ჰანოვერი. 19 თებერვალი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ინგლის-საფრანგეთის კონფერენცია დამთავრდა უშედეგოთ.

საფრანგეთის მისია ლე-ტროკის თავმჯდომარეობით დაბრუნდა პარიზში.

პარიზში ლაპარაკობენ, რომ ლონდონის მოლაპარაკება მხოლოდ დროებით შეწყდა და რომ ახლო მომავალში ისევ განახლებულ იქნება, რისთვისაც პუანკარე ფიქრობს გაემგზავროს ლონდონში.

გერმანიის ამბები

კაიზერის დასაჩუქრება

ლონდონი. გაზ. „დეილი-მეილის“ ცნობით, გერმანიის რესპუბლიკის მთავრობა დასთანხმდა გადაუხადოს ყოფ. კაიზერს ვილჰელმს 5 მილიონი გირ. სტერლინგი, გერმანიაში დარჩენილ ქონების ასანაზღაურებლად.

პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობა

ფრანკფურტი. გაზეთ „ფრანკფურტერ ცეიტუნგი“ იტყობინება, რომ პოლონეთის პრესა ბრალსა სდებს გერმანიას ლიტვასთან შეთანხმებით მოქმედებაში. კიდევ უფრო დიდ შიშს იწვევს ის გარემოება, რომ პოზნანის ოლქში ადგილი აქვს გერმანელების და პოლონელების შორის შუღლის გაძლიერებას. ვესტერმარკენელების კავშირი გამოკრულ პლაკატებით მოუწოდებს პოლონელ ძმებს დაიცვან ვესტერმარკენი მძარცველ გერმანელებისაგან.

ამ დღეებში პოზნანში განზრახულია ორგანიზაციის მოწყობა, რომელიც მოუწოდებს მცხოვრებთ გერმანიის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ დიდ გავლენას, რომელიც აქვს პოზნანის ვოევოდას და ვესტერმარკენელების კავშირს პოლონეთის მემარჯვენე წრეებზე, უნდა მოველოდეთ, რომ პოლონეთის მთავრობა ძალიან დიდ ანგარიშს გაუწევს ამ შუღლს.

მემარცხენე ორგანოები „ პშეგლიად ვეჩერნი“ და „კურიერ პორანიი“ მოუწოდებენ ხალხს მშვიდობიანობისაკენ და დარწმუნებულნი არიან პოლონეთის მშვიდობიანობის მოყვარეობაში. ეს ორგანოები აღნიშნავენ, რომ პოლონეთს არავითარი დაპყრობითი ზრახვები არ აქვს გერმანიის წინააღმდეგ. მუშების ორგანო „რაბოტნიკი“ აფრთხილებს მთავრობას, არ ჩაერიოს არავითარ ავანტიურაში. საერთოთ პოლონეთში ნერვიული განწყობილება სუფევს.

ახლო აღმოსავლეთში

სტამბოლის საჭიროებისათვის.

ტრაპიზონი. 14 თებერვალი. ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ გაიღო სტამბოლის საჭიროებისათვის 4 მილ. ლირა.

ინდუსების მუსულმანური კომიტეტის დახმარება.

ტრაპიზონი. 14 თებერვალი. მუსტაფა ქემალმა გაუგზავნა წერილი ინდუსების მუსულმანური კომიტეტის თავმჯდომარეს საიდ ჯუტოკს, რომელშიაც მადლობას უძღვნის მას იმ დახმარებისათვის, რომელიც გაუწიეს ანატოლიის ინდოეთის ძმებმა.

გადასახადი შეძლებულ კლასებზე.

ტრაპიზონი. 14 თებერვალი. გაზეთ „ისტიკბალ“-ში მოთავსებულია ვილაიეთის სამმართველოს განცხადება საყოველთაო პირველ-დაწყებითი სწავლის საჭიროებისათვის გადასახადის შემოღების შესახებ: გადასახადი ნაწილდება ცალკე მოქალაქეების შემოსავლის და კაპიტალის მიხედვით. შედგენილია საპირადო სიები, რომლითაც 5 მდიდარ კომერსანტიდან თვითეული იხდის 200 ლირას 10—60 ლირას, დანარჩენები—15.

ზავის პირობები.

პარიზი. 19 თებერ. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ისმეტ-ფაშა მოხსენებას გაუკეთებს ეროვნულ კრებას, ხოლო შემდეგ კომისრებს, რომლებსაც დაკისრებული ჰქონდათ მოკავშირეებისადმი ნოტის შემუშავება, რომლითაც ანგორა გამოაქვეყნებს თავის ზავის პირობებს. ფიქრობენ. რომ ეროვნული კრება მოკავშირეებთან მოლაპარაკების ადგილათ დანიშნავს სტამბოლს.

ინგლისელების და ოსმალოების შეტაკება.

პარიზი. სტამბოლელი კორესპონდენტი ატყობინებს გაზ. „ტანს“, სტამბოლის ქუჩებში ორ ინგლისელ ჯარისკაცზე თავდასხმის შესახებ. ერთ მათგანს ხანჯლით გამოსჭრეს ყელი, მეორეს კი თავი გაუჩეხეს. თავდამსხმელები მიიმალნენ. ეს შემთხვევა პირველი არ არის; ასეთი მოვლენები სისტემატიურად ხდება.

მცირე ანტანტა და ახლო აღმოსავლეთი.

რომი. გაზ. „ჟორნალ დ' იტალიას“ ცნობით, მცირე ანტანტის სახელმწიფოებს შორის სწარმოებს აზრთა გაცვლა-გამოცვლა შეთანხმებულ მოქმედების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ახლო აღმოსავლეთში ადგილი ექნა ახალ გართულებას, რომელიც შეუძლია დაარღვიოს ტერიტორიალური სტატუს-ქვო ახლო აღმოსავლეთში.

უცხო კაპიტალისტების შესახებ.

პარიზი. 19 თებ. სმირნიდან იტყობინებიან, რომ ეკონომიურ კონგრესის გახსნაზე. ქემალ-ფაშამ თავის სიტყვაში სთქვა, რომ ოსმალეთს ესაჭიროება უცხოელი კაპიტალისტები, რომლებსაც ის მიანიჭებს აუცილებელ გარანტებს იმ პირობით, თუ ეს კაპიტალისტები დაემორჩილებიან ოსმალეთის კანონებს:

ქემალ-ფაშამ გამოსთქვა მწუხარება იმის შესახებ, რომ მოკავშირენი ლოზანაში ვერ მიხვდენ ოსმალეთის ჭეშმარიტ მოთხოვნილებებს. და ბოლოს ქემალ-ფაშამ მოუწოდა ოსმალებს გასწიონ წინ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოსაპოებლად.

მდგომარეობა იტალიაში

მუსოლინის შუამავლობა.

ნაუენი. 19 თებერვალი. რომიდან იტყობინებიან, რომ თანახმად მუსოლინის სენატის წინაშე განცხადებისა, ანტანტის კრიზისი აღწევს უმაღლეს წერტილს. მუსოლინმა განაცხადა, რომ იტალიის გადაწყვეტილება შუამავლის როლში გამოსვლისათვის, ეთანხმება სხვა სახელმწიფოების სურვილს.

მდგომარეობა ამერიკაში

კრეისერების განიარაღება.

რომი. 19 თებერვალი. პრეზიდენტ გარდინგმა შეიტანა ამერიკის კონგრესში განსახილველათ კანონპროექტი 21 მილ. დოლარ კრედიტის გასაღებათ იმ ხარჯების დასაფარავად, რომლებიც დაკავშირებულია კრეისერთა განიარაღებასთან ვაშინგტონის ტრაქტატის თანახმად.

ამერიკა-ბრიტანეთის შეთანხმება.

ლონდონი. 19 თებერვალი. ამერიკა-ბრიტანეთის შეთანხმება, ინგლისის ვალების შესახებ შეერთებულ შტატებისადმი, დამტკიცებულია გუშინ შეერთებულ შტატების სენატის მიერ 70 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 17 ხმისა.

ფიქრობენ, რომ ალბათ ქვედა პალატაც მიიღებს იმ დამატებას, რომელიც მოწონებულია სენატის მიერ, რის შემდეგ წარედგინება პრეზიდენტ გარდინგს ხელის მოსაწერათ.

ავსტრიაში

შეტაკება ვენაში.

რომი. 19 თებერვ. ვენაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეტაკებას ნაციონალისტებს-ანტისემისტებსა და მუშა-კომუნისტებს შორის.

სესხი ავსტრიისათვის.

ლიონი. 19 თებერვ. მიღებულია ცნობა, რომ საერთაშორისო სესხი ავსტრიისათვის დამტკიცებულია 3 ნახ. მილ. ინგლ. სტერლინგის რაოდენობით. ინგლისის ბანკი მონაწილეობს 1.700.000-ში, საფრანგეთის—800.000, ბელგიის—400.000, ჰოლანდიის—150000, შვეიცარიის—200000, სკანდინავიის სახელმწიფოები — 150.000, ამერიკელი ფინანსისტები აგრეთვე ჰპირდებიან დახმარებას.

პოლონეთის ამბები

საფრანგეთი და პოლონეთი.

ჰანოვერი. 17 თებ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა პროექტი პოლონეთისათვის 400 მილ. ფრანკის სესხის მიცემის შესახებ.

საფრანგეთის და პოლონეთის თანამშრომლობა შეუძლებელია.

ნაუენი. 17 თებ. მიუხედავად საფრანგეთ-პოლონეთის სიმპატიებისა, პოლონეთში არც ერთ პარტიის ლიდერს არ მოუთხოვია საფრანგეთთან თანამშრომლობა, ვინაიდან ყველამ იცის, რომ ეს მომასწავებელია, კატასტროფის, რომელიც განსაკუთრებით საზარალოა პოლონეთისათვის, ვინაიდან ეს უკანასკნელი ცდილობს აღადგინოს სრულიად დაცემულ მარკის ღირებულება და გადასჭრას უმუშევრობის საკითხი-

კომუნისტების დევნა.

ვარშავა. 19 თებერვ. გაზ. „რეჩ პოსპოლიტა“ იტყობინება, რომ ზაკროჩინაში და ნოვო-დვორეში აღმოჩენილია მრავალი კორესპონდენციები, კომუნისტური ბროშიურები, გაზეთები და ადგილობრივი კომუნისტური იაჩეიკის ბეჭდვითი ნაწერები. ზაკროჩინაში გაჩხრეკის დროს მოხდა დაპატიმრებანი. ყველა დაპატიმრებულნი ახალგაზრდა პირებია უმაღლესი განათლებით. მათ ამოცანას შეადგენდა ვარშავის მიდამოებში აგიტაციის წარმოება.

პოლონეთი და ლიტვა

შეტაკებანი.

ბორდო. 19 თებერ. ლიტვას მისია პარიზში იტყობინება: პოლონეთის რეგულიარული ჯარები, რომელთაც დაიჭირეს ნეიტრალური ზონა ორანის რაიონში, შეიჭრენ ლილვას ტერიტორიაზე და თავს დაესხენ ლიტვას ჯარებს. ამის შედეგად მოკლულია 10 და დაჭრილია ასამდე კაცი. ლიტვას მთავრობა შეეკითხა ერთა ლიგის საბჭოს და სთხოვა გასაფრთხილებელი ზომების მიღება.

ლიტვა ეწინააღმდეგება ერთა ლიგის გადაწყვეტილებას.

პარიზი. 19 თებერ. ვილნოდან იტყობინებიან, რომ ლიტვას ხელისუფლება კვლავ ეწინააღმდეგება ერთა ლიგის გადაწყვეტილებას ქალაქ ვილნოს საკითხების შესახებ, რაც ამხნევებს მოხალისეებს და ნაციონალისტებს, რომელნიც მოითხოვენ ვილნოს ლიტვისათვის დაბრუნებას.

წითელი არმიის 5 წლის თავის, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების 2 წლის თავის და ალექსანდრეს ბაღში მუშების დახვრეტის 5 წლის თავის სადღესასწაულო წეს-რიგი

დღესასწაული იწყება 23 თებერვალს და თავდება 25-ს აერთებს რა ორივე წლის თავს.

პირველი დღე,

(23 თებერვალი—პარასკევი)

დღის—4 საათზე ალექსანდრეს სახელობის ბაღში შესდგება მიტინგი და სამოქალაქო პანაშვიდი 1918 წ. 10|23 თებერეალს ალექსანდრეს ბაღში დახვრეტილთათვის.

საღამოთი—მოხდება წერა კითხვის უცოდინარობის სკოლებში კურს დამთავრებულთა გამოშვება. გამოშვებაზე ესწრებიან მიმაგრებულ წარმოებათა მუშების წარმომადგენლები.

მეორე დღე

(24 თებერვალი—შაბათი)

დაახლოების დღე და წითელ კავალერთა საპატივცემლო ზეიმი.

დღით: ყაზარმებში მიტინგები. მუშაობის დამთავრების შემდეგ მოწყობილ იქნება მუშათა და წითელ არმიელთა საერთო სუფრა როგორც ყაზარმებში, ისე დაწესებულებებშიაც.

საღამოთი: ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებთან, კავშირების გამგეობის წევრებთან და სხვა ორგანიზაციებთან ერთად. სხდომა იმართება ორივე დღექართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 2 წლის თავის შესახებ.

სასწაულის გამო და საპატივცემოთ „წითელი დროშის“ ორდენის კავალერების, რომელნიც საჩუქრებს ღებულობენ. სამხედრო ნაწილების და წარმოებათა კლუბებში იმართება რევოლიუციონურ-სამხედრო მოგონებათა საღამოები და კონცერტები მუშათა და წითელ არმიელთა წრეების ძალებით.

მესამე დღე

(25 თებერვალი—კვირა)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 2 წლისათვის

დილით: აღლუმი და სამხედრო ნაწილების მიერ ფიცის მიღება მუშათა ორგანიზაციებსა და მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად. აღლუმი გაიმართება რუსთაველის პროსპექტზე, ფიცის მიღება მოხდება ერევნის მოედანზე.

თეატრებში და ცირკებში საბავშვო სპექტაკლები.

საღამოთი: ყველა თეატრებში, კინემატოგრაფებში და ცირკებში უფასო სანახაობა.

ქალაქის აღმასკომი წლის თავის აღსანიშნავად დაარსებს ღამის გასათევ სახლს უბინაო მუშებისათვის.

წითელი არმიის ხუთი წლის თავის და საქართველოში საბჭოთა ხელის უფლების დამყარების 2 წლის თავის დღესასწაულის მომწყობი ცენტრალური კომისია.

ლიტვის სუვერენული უფლებები შუა-მემელის ოლქზე

ჰანოვერი. 19 თებერვ. პარიზიდან მიღებულ ცნობებით, ელჩთა კონფერენციამ დაადგინა მიეცეს ლიტვას სუვერენიული უფლებები შუა-მემელის ოლქზე იმ პირობით, თუ მთავრობა მიიღებს ზოგიერთ პუნქტებს, რომლებითაც ქალაქს და მემელის ნავთსადგურს უნდა მიეცეს სრული ავტონომია და გაფართოებული უნდა იქნეს პოლონეთის უფლებები მემელის ოლქში გზებით სარგებლობის შესახებ.

„დეილი ალიმანე ცეიტუნგი“ ამგვარ გადაწყვეტილებას უწოდებს მუშტის სამართლის გამოყენებას და ამტკიცებს, რომ ელჩთა კონფერენცია თავისი დადგენილებებით ხაზს უსვამს თავის უილოჯობას მემელის საკითხის სახელმწიფოებრივ უფლების ნიადაგზე სამართლიანად გადაჭრაში, რაც შეუძლებელია თავისუფალი პლებისციტით.

„ბერლინერ ტაგებლატი“ ამტკიცებს, რომ მემელის საკითხი ელჩთა კონფერენციის დადგენილებაში არ არის გადაჭრილი გერმანიისათვის.

უცხოეთის პრესა

კაპიტალთან ბრძოლა პოლონეთში.

ვარშავი. „კურიერ პორანი“ იტყობინება, რომ ლუდის ქარხნების და პურის საცხობების მუშებმა წარადგინეს მოთხოვნილება სიძვირის გამო სამუშაო ხელფასის 30 პროცენტით მომატების შესახებ. ზოგიერთ წარმოებებში გაფიცვა თავიდან აიცდინეს, ვინაიდან მწარმოებლებმა დააკმაყოფილეს მუშების მოთხოვნილება

ფაშისტების ქვეყანაში.

რომი. „ჟურნალე დ'იტალია“ იტყობინება, რომ გენერლები ბონანსეა და კონტუტი დასაჯეს იმისათვის, რომ მათ სამხედრო ფორმაში მიიღეს მონაწილეობა ბანკეტზე, რომელიც გაიმართა ფაშისტების რომის სექციის მდივნის საპატივცემლოდ და ატარებდა პოლიტიკურ ხასიათს.

უცხოეთის ფირმები ოსმალეთში.

სტამბოლი. „ორიენტ ნიუზ“-ი გადმოგვცემს, რომ სტამბოლის ვილაიეთისადმი განკარგულების თანახმად ეცნობება საზღვარ-გარეთის ყველა სააქციონერო და დამზღვევ საზოგადოებებს, რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს ოსმალეთში სააგენტოების და ფილიალურ განყოფილებების საშუალებით და გატარებული არიან რეგისტრაციაში 16 მარტაიდე, ამ ჟამად გამოცემულ კანონების თანახმად მათთვის არ არის საჭირო ხელახალი რეგისტრაცია, მაგრამ მათ თავიანთი ოპერაციები უნდა შეუთანხმონ სახელმწიფო ქონებათა კომისარიატის მუშაობას.

რაც შეეხება იმ საზოგადოებებს, რომლებიც რეგისტრაციაში გატარებული არიან აღნიშნულ ვადის შემდეგ, ეს რეგისტრაცია ითვლება გაუქმებულად და ისინი კვლავ უნდა გატარდენ რეგისტრაციაში სახელმწიფო ქონებათა კომისარიატში.

სხვადასხვა ამბები

ვილნოს ქუჩებში.

პარიზი. 19 თებერვ. „დეილი ტელეგრაფის“ კორესპოდენტის ცნობით, ვილნოს ქუჩებში მოხდა შეიარაღებული შეტაკება სოციალისტებსა და ნაციონალისტებს შორის.

ინგლისის იმპორტი მცირდება.

ლონდონი. ოფიციალურ ცნობების თანახმად, 1922 წ. 11 თვის განმავლობაში საზღვარ-გარეთის საქონლის იმპორტი ინგლისში შემცირდა 1921 წელთან შედარებით 16.673.300 გირ. სტერლინგით. შემცირება მოხდა უმთავრესად სასმელების, ფუფუნების საგნების და ზოგიერთ სასურსათო საგნების ხარჯზე. 11 თვის განმავლობაში ექსპორტი 22.200.000 გირ. სტერლინგით შემცირდა.

1902 წელში დაბადებულთა ჯარში გაწვევა.

რომი. 19 თებერვ. სამხედრო სამინისტრომ ნება დართო ჯარში გასაწვევ 1902 წელში დაბადებულებს, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამოცხადდენ პირდაპირ გემში ჩასაჯდომ ადგილებზე.

ყველა ქვეყნების კომუნისტების სოლიდარობა.

რომი. 19 თებერვ. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის კომუნისტებმა გადასწყვიტეს გაუგზავნონ იტალიის კომუნისტებს 1 მილ. მარკა და ერთდროულად გამოუშვან ანტიფაშისტური მანიფესტი.

საფრანგეთი.

რომი. 19 თებერვ. საფრანგეთის დეპუტატების პალატამ დიდი უმრავლესობით მოიწონა შინაური სესხის სახაზინო ბონების გამოშვება სულ 13 მილიარდ ფრანკის რაოდენობით და პოლონეთისათვის 400 მილ. ფრანკის სესხათ მიცემა.

ბოლგარეთი.

რომი. 19 თებერვ. ბოლგარეთის მთავრობა მოკავშირეთა საკონტრიბუციო კომისიის საპასუხოთ იტყობინება, რომ ის თანახმაა გასცეს როგორც გარანტია საბაჟო გადასახადი და თხოულობს თავის ფინანსიურ მდგომარეობის ასამაღლებლად მიეცეს მას სესხი.

ეგვიპტეში.

ბორდო. 19 თებერვალი. ქაირიდან იტყობინებიან, რომ მეფემ მიიღო ადლი-ფაშა და თათბირი ჰქონდა მასთან ახალი კაბინეტის შედგენის შესახებ.

ირლანდიაში.

პარიზი. 19 თებერვალი. ირლანდიაში მღელვარება ძლიერდება. ბერლინიდან მიღებულ ცნობებით, დასწვეს რამოდენიმე სადგური და რკინისგზის საწყობი.

ინგლისში,

ნაუენი. 19 თებერვალი. თემთა პალატის წევრთა ლიბერალურმა ჯგუფმა, რომელიც იმყოფება ოპოზიციაში და გაერთიანებულია ლოიდ-ჯორჯის ჯგუფთან, წინადადება მისცა ასკვიტს მიიღოს თავის თავზე ამ ჯგუფის ლიდერობა.

სამხრეთ სლავია.

საკითხი ფიუმეს შესახებ.

რომი. 16. თებერვ. სამხრეთ სლავიის პრესა ადასტურებს, რომ ბაიშმა მიიწვია მუსოლინი სათათბიროთ ფიუმეს და დალმაციის საკითხის ახლად მოწესრიგების შესახებ შეხვედრა მოხდება ვენეციაში.

წითელი რადიოგრამები

რუსეთი

ხიმშილობის შედეგები.

მოსკოვი, 18 თებერვალი. სიმშილობის შედეგები სამარას გუბერნიაში თანდათან ისპობა, 500,000 კაციდან სურსათით უზრუნველყოფილია 400 ათასი კაცი. გაზაფხულს უზრუნველყოფილი იქნება მთელი მოსახლეობა, გუბერნიაში ჩამოყვანილია და მოსახლეთა შორის განაწილებულია 15,000 თავი საქონელი, მოსახლეობამ შეისყიდა, გარდა ამისა, 75,000 თავი; საზღვარ-გარეთიდან ჩამოტანილია 10 ტრაქტორი. მიწათმოქმედების სახ. კომ-ატმა დაურიგა მცხოვრებლებს 3,000 სასოფლო-სამეურნეო იარაღი.

უპარტიო გლეხთა კონფერენცია.

მოსკოვი, 18 თებერვალი. ბობრუისკში დამთავრდა უპარტიო გლეხთა კონფერენცია. მიღებულია რურის შესახებ პროტესტის რეზოლიუცია. კონფერენციამ გამოსთქვა აზრი, რომ აუცილებლათ საჭიროა ყველა გადასახადების შესრულება და ნივთიერი სახსარის აღმოჩენა სკოლებისა და სკოლის მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

ჩერეპოვეცის უპარტიოთა კონფერენციამ მიწის ახალი კოდექსისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა. დიდი ყურადღებაა მიქცეული სასკოლო საქმეზე და გადასახადებებზე.

კონფერენციაში დიდს მონაწილეობას იღებენ ქალები, რომლებიც შეადგენენ მონაწილეთა 20 პროცენტს.

უცხოეთის ცხოვრება

მუსოლინის ბრძოლა დ'ანუნციოს წინააღმდეგ.

ფიუმანის ფაშიზმი ანუ „ფიუმანიზმი“ როგორც მას უწოდებენ იტალიაში, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თუგინდ მხოლოდ იმისთვის, რომ ის ავიწროებს და აუხებს მუსოლინის ხელის უფლებას. „ფიუმანიზმს“ იტალიაში ეძახიან ფაშიზმის ერთ-ერთ ნაწილს, რომლის სათავეში სდგას ჭკუაზე შემცდარი პოეტი და პოლიტიკურად უპრინციპო კაცი გაბრიელ დაანუნციო, რომელმაც თავის მიზნად დაისახა ქ. ფიუმეს და მისი ნავთსადგურის იტალიისთვის შემოერთება მთელ რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და დიპლომატიურ შეთანხმებათა წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ არ ყოფილა სტატისტიკური და ეთნოგრაფიული ცნობების ისეთი უხეში ფალსიფიკაცია—კაცია, რომლისთვისაც არ მიემართოთ ფიუმანის ფაშისტებს, რათა დაემტკიცებათ, რომ ფიუმე იტალიას უნდა შეუერთდეს.

იყო დრო, როდესაც დ'ანუნციო და მუსოლინი ეჯიბრებოდნენ ერთი მეორეს გალაშქრებაში ანტანტის და განსაკუთრებით კი ვილსონის წინააღმდეგ, რომელთაც იმედები გაუცრუეს იტალიას ნადავლის გაყოფის დროს 1918 წ. 22 მაისს მუსოლინმა ფიუმეში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც სასტიკად გაილაშქრა ანტანტის წინააღმდეგ და გაჰკიცხა „უსირცხვილო უმადურობა“ საფრანგეთის, რომელმაც დაივიწყა ის, რომ იტალიამ გადაარჩინა საფრანგეთი 1915 წელში. მუსოლინმა გაჰკიცხა აგრეთვე „ცრუ წინასწარმეტყველი“ ვილსონი და იმპერიალისტური სულისკვეთება ინგლის-საქსონელების და ბერძნების, რომელთაც წაართვეს იტალიას მისი გამარჯვების ნაყოფი. ამ სიტყვაში ის მოუწოდებდა იტალიელებს მხარი დაეჭირათ აჯანყებისათვის ინგლისელების წინააღმდეგ მალტაზე, ეგვიპტეში და სხვა ადგილებში. ეს სიტყვა მან დაამთავრა შემდეგი სიტყვებით, რომელიც სრულიად არ ეთანხმება მის „ჯელტმენურ“ ყოფაქცევას ლოზანას კონფერენციაზე: „რაც შეეხება იტალიის ხალხს, მან უკვე გადასწყვიტა თავისთვის ფიუმეს საკითხი—და ოთხი ძველი იდიოტის (ოთხთა საბჭო ვერსალში) დადგენილებანი ვერ შესცვლის მის ნების ყოფას“.

მაგრამ დრო გადიოდა. რომანტიული ნაციონალიზმის ყვავილები სწრაფად დასჭკნა. ტიპიური რენეგატი და მოღალატე მუსსოლინი გადაიქცა „საღად მოაზროვნე“ სახელმწიფო მოღვაწეთ. მუსსოლინის ფაშისტების პროგრამაში მუხლი ფიუმეს ანექსიის შესახებ თან და თან შეცვლილ იქნა უფრო მცირე მოთხოვნილებით: „ფიუმეს ეკონომიური შემოერთება.“ დ' ნუნციოს ავანტიურა ფიუმეში დამარცხდა, მისი ლეგიონერების რიცხვი დღითი დღე მცირდებოდა, მაგრამ მუსსოლინმა ხელიც არ გაანძრია ფიუმეს ავანტიურისთვის მხარის დასაჭერად. ერთ ხანს ორივე ბელადი ცდილობდენ დაეფარად მათ შორის მომხდარი ცვლილებები. მაგრამ დიდი ხნით დაფარვა ამის შეუძლებელი იყო. იგრძნო რა ღალატი, დაობლებული დ'ანუნციო შეეცადა ეპოვა დასაყრდნობი თავისი ნაციონალისტური ბოდვისათვის იტალიის ხალხის სხვა წრეებში. მან გაეთამაშა (და მეტად მოხერხებულად) ზოგიერთ მარცხენა წრეებს, მოიპოვა პოპულიარობა მეზღვაურთა ფედერაციაში და სხვ. წარსული წლის ზაფხულში, როდესაც მუსსოლინის გმირებმა გამოიჩინეს განსაკუთრებული სისასტიკე და მხეცობა მუშათა მოძრაობის ჩაქრობაში—„პოეტის სულმა ვერ მოითმინა“ და მუსსოლინის გმირებს ესროლა მოხდენილი სიტყვა: „ძონათმფლობლები“, რომელიც მოედო მთელს იტალია.

ჯერ კიდევ ძალა უფლების ხელში ჩაგდებამდე მუსსოლინისთვის აშკარა შეიქნა, რომ ის დ'ანუნციოსთან ერთად ვერ ივლის. მუსსოლინი თავის გამოსვლებში დ'ანუნციოს ნაციონალისტური ბოდვის დასაცავად თავის ორგანო „პოპოლო დ'იტალია“-ში სწერს: „იტალიის და ფიუმეს ყველაზე უფრო ნაციონალისტური ელემენტებიც კი არ ფიქრობენ იმას, რომ ფიუმეს პოლიტიკური გაერთიანება იტალიასთან შესაძლებელია. ის შეიძლება მოხდეს მხოლოდ იტალიის და სამხრეთ სლავიის ხელშეკრულების საშუალებით.

ამ პოლიტიკური რომანის სამწუხარო ეპილოგის შესახებ ჩვენ უფრო დაწვრილებით გავიგეთ მუსსოლინის ორგანო „პოპოლო დ'იტალია“-ს მთელ რიგ ნომრებიდან, რომლებიც იუწყებოდენ ხელისუფლების მიერ დ'ანუნციოს ორგანიზაციების სრულ განადგურების შესახებ. ასე მაგალითად, 23 დეკემბრის ნომერში არის მთავრობის ცნობა ლეგიონერთა კლუბების დახურვის, მათი ბელადების დაპატიმრების და სხვ. შესახებ. ამ ცნობებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ დ' ანუნციოს ლეგიონერები უკანასკნელ დროს იძულებული იყვნენ დაეწყოთ არა ლეგალური მუშაობა. მაგრამ პოლიცია დაეძებს მათ კრებებს და აპატიმრებს მონაწილეთ. პოლიციის მოქმედებამ გამოიწვია შეიარაღებული შეტაკებები მისსა და ფაშისტებს ერთის მხრივ და ლეგიონერებს შორის მეორე მხრით. ასე მაგალითად, ფაშისტების ზემოხსენებულ ორგანოში მთავრობას, თავისი მოქმედების გასამართლებლად, მოჰყავს, სხვათა შორის, შემდეგი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მილანში: „ცოტა ხნის შემდეგ შეიარაღებული შეტაკება პოლიციასა და ლეგიონერებს შორის მოხდა ჩრდილოეთ სადგურის მოედნის მახლობლად „კანონის“ ქუჩაზე. **ფაშისტების რაზმს წინ გადაელობა კოლონნა ლეგიონერების, რომელნიც ჰყვიროდენ: „ძირს მუსსოლინი! გაუმარჯოს ბოლშევიკურ რუსეთს!“** ფაშისტების ჯგუფს არ შეეძლო პასუხი არ გაეცა ამ შეურაცხმყოფელ გამოწვევაზე. მომხდარ შეტაკების შედეგად დაიჭრა 4 კაცი.“

ეს ინცინდენტი მეტად დამახასიათებელია იტალიის რეაქციის გახრწნისათვის.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

გორის მაზრა.

ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის ხუთი წლის თავი. ამ დღეებში გორში სახალხო სახლში შესდგა საზეიმო სხდომა, რომელიც მოაწყო გორის მაზრის რკინის-გზელებმა ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის 5 წლის თავის გამო. მიტინგს კავშირის წევრებს გარდა დაესწრო მრავალი მოქალაქე. მიტინგის შემდეგ შესდგა დღესასწაულის სათანადო კინო სურათის დემონსტრაცია და შემდეგ მოეწყო სპექტაკლი; წარმოდგენილ იქნა რევოლიუციონური პიესები. მიტინგზე ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც მიტინგი ესალმება ტრანსპორტის მუშაკთა კავშირს და ფიცს სდებს, რომ მთელი ძალ-ღონით მხარს დაუჭერს წითელი პროფინტერნის რევოლიუციონურ ტაქტიკას, ამასთანავე ერთად პროტესტს აცხადებს საფრანგეთის იმპერიალისტურ მოქმედების წინააღმდეგ რურის ოლქში.

ქუთაისის მაზრა.

სათემო იაჩეიკებში. ქუთაისის მაზრის სათემო იაჩეიკების მდივნების კრებამ აღნიშნა რა, რომ ჯამაგირის უქონლობა ხელს უშლის მდივნების ნაყოფიერ მოღვაწეობას, რადგან აიძულებს მათ ეძებონ სხვა სამუშაო, დაადგინა ეთხოვოს საქართველოს კომპარტიის ცეკას თემებში პარტიული მუშაობის განსავითარებლად, დაენიშნოს თემის იაჩეიკების მდივნებს ჯამაგირი. კრებამ დაადგინა აგრეთვე, რათა თემის პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობას ხელმძღვანელობდენ ადგილობრივი პარტიული სკოლები.

სარწმუნოების გასამართლება. ქუთაისში მოეწყო სარწმუნოების გასამართლება, რომელიც მეტად დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. თეატრი ხალხით სავსე იყო და მრავალი მსურველი ველარ დაესწრო გასამართლებას. ბრალმდებლებათ სარწმუნოების წინააღმდეგ გამოვიდენ მეცნიერების წარმომადგენელნი, მუშები, გლეხები და მუშა ქალები. პროცესის ბოლოს სარწმუნოების და მისი ქურუმების წინააღმდეგ გამოვიდა ადგილობრივი მღვდელი ბუაჩიძე, რომლის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე. ამ გასამართლებით საფუძველი ჩაეყარა ფართე ანტისარწმუნოებრივ კამპანიას ქუთაისის მაზრაში. განზრახულია ასეთივე პროცესსების მოწყობა მაზრის ყველა მსხვილ რაიონებსა და თემებში.

ბათომი

ბათომის გაწმენდა. უკანასკნელ დროს დაცემისა და ცარცვის გახშირების გამო აჭარისტანის კომისართა საბჭოსთან შექმნილია საგანგებო კომისია ღონისძიებათა გამოსამუშავებლად ბათუმის ზედმეტ და მავნე ელემენტებისაგან და კერძოთ ისეთ პირებისაგან გასაწმენდათ, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ბათუმთან, სამსახურით, სამუშაოთი, ბინადრობით და სხვა. მუშაობა ბათუმის განსატვირთავად (გასაწმენდათ) დაიწყება 20 თებერვალს ცენტრიდან საგანგებო რწმუნებულის ჩამოსვლისთანავე.

ბათომის ნავთსადგურში. მოვიდა
ნოვოროსიისკიდან საბჭოთა
ლიკს ძერჟინსკი“ 4.219 ფუ
თით და საფრანგეთის გე
ლა“—კონსტანტინეპოლიდან.
კონსტანტინეპოლისკენ ამ
გემი „ემპაირ არროუ“.

ცეკავშირში. ცეკავშირ

მემამულეების მიწები გლეხებ

თიანეთი

(დეპეშა)

თბილისი, მიწად-მოქმედების კომისარს [illegible]

თიანეთის მე-3-ე პარტიული კონფერენცია გიძღვნის თქვენ მხურვალე სალამს მიწის საკითხში თქვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯების გამო და გამოსთქვამს რწმენას, რომ
გატარებული იქნება ცხოვრებ
მარტამდე.

პრეზიდიუმი. პარტკომის მდ
მარხვ

შორაპანი

(დეპეშა)

შორაპნის მაზრიდან გვატყობინებენ:

„სამი დღის მუშაობის განმავლობაში საჩხერის რაიონში ჩამ
ლია ოცი სახლი, 700 ქცევ
სამი წისქვილი ყოფილ თავად

შორაპნის მაზრა.

მიწის რეფორმის გამტარებელი შორაპნის სამაზრო კომისია ამხ. მორჩილაძის, მეგრელიშვილის და კარალაშვილის შემადგენლობით გაემგზავრა ტფილისიდან 11 თებერვალს, საღამოს 5 საათზე სამაზრო კომისიასთან და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან თათბირის შემდეგ, კომისია 12 თებერვალს, დილის 11 საათზე მიწათმოქმედების განყოფილების გამგესთან ერთად შეუდგა მუშაობას. გაიყვნენ რა ორ ჯგუფათ, კომისიის წევრები გაემგზავრენ სხვა და სხვა თემებში მუშაობის დასაწყებად.

მუშაობის ოთხი დღის განმავლობაში საჩხერის რაიონში კომისიის წევრებმა ინახულეს ყოფილ თავადების, აზნაურების და კულაკების 62 სახლი. უნდა აღვნიშნოთ, რომ საჩხერის რაიონი არის ყოფილ თავადების მთავარი ბუდე. იქ მოიკალათეს იმათ თავის სასახლეებში და სცხოვრობენ ფუფუნებით მშრომელ გლეხების ხარჯზე.

მუშაობის დასრულების შემდეგ დაახლოვებითი შედეგები ასეთია: ჩამორთმეულია სულ 22 სახლი, 3 წისქვილი, და დაახლოვებით 800 ქცევა (900 კვ. საჟ). სახნავი მიწა და ვენახი.

ამასთანავე სახლის მეპატრონეები მილიციის დახმარებით იქნენ გადასახლებული სხვა სახლებში, ზოგან შემჭიდროებული იქნენ; მათ მიეცათ უსაჭიროესი ნივთები, დანარჩენი საგნები დარჩა სახლებში, რომელიც გადაეცა აღმასკომებს.

მიტინგების გამართვა ყველა სოფლებში არ ხერხდება შემდეგი მიზეზებით.

1. მცხოვრებთა გაფანტულობის გამო, თვითეული თემი გაჭიმულია 10 ვერსზე.
2. ძალიან ცუდი ამინდების გამო, რაც ხელს უშლის მუშაობას.

ყოფილი თავადები და სხვ. კომისიის დადგენილებებს პასიურად ხვდებიან და არავითარ წინააღმდეგობას არ ეწევიან. უკმაყოფილებასაც კი არ გამოსთქვამენ.

ალბათ მათ ყველაფერი იცოდენ ჩვენს ჩასვლამდე. შემჩნეულია შემდეგი მდგომარეობა. ის თავადები და აზნაურები, რომელნიც შემჭიდროვეს, არ მიდიან საცხოვრებლად თავის თანამოძმეებთან, არამედ სტოვებენ სახლებს და ქირაობენ კერძო ბინებს.

გლეხები იმ ღონისძიებებს, რომელთაც ჩვენ ვატარებთ, მეტად თანაგრძნობით ხვდებიან. ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევებს: მიწები, რომელიც 1921 წელს დაურიგდა გლეხებს, ზოგიერთ მათგანმა ისევ გამოისყიდა თავად-აზნაურობისაგან. ეს უკანასკნელნი აშინებდენ გლეხების ბნელ მასსებს, რომ მიწებს მათ ისევ ჩამოართმევენ და სხ. გლეხებს ეშინოდათ მიწების დაკარგვის და მის ნაცვლად თავად-აზნაურობას აძლევდენ უკანასკნელ შენობებს, სადაც ჩვენ აღმოვაჩინეთ ასეთი შემთხვევები, ყველგან უკან დაუბრუნეთ გლეხებ
ლები და დავტოვეთ მის მ
ლობაში აგრეთვე მიწაც. მაგა
სოფ. ქორეთში სერგო
შვილმა გამოართვა სახლი
ნაცვლად ღარიბ გლეხს ნიკო
ნოიძეს, ეს სახლი მას უკან დ
ნეთ.

რამოდენიმე სიტყვა ყოფილ
დების შესახებ. ყოველ თავად
ჰყავს ოჯახში 2—3 მუშა. ჩვენ
კითხეთ მათ, ვინ არიან ისინ
გვიპასუხეს, რომ ისინი მ
არა, მათი ნათლულები, ნ
არიან და მოითხოვეს, რომ
დაუტოვოთ ნორმა. ჩვენ
ამ მუშებს მათ მდგომარეო
ყოფილ თავადებს კი უფრ
ნაკლებ ნორმას, რომ მათ არ
ჰყოლოდათ მუშები.

ვიყავით ერთ თავადთან
აბაშიძესთან, ჩვენს კითხვა
დენი სულია ოჯახში, მან გვ
—ათიო. ჩვენ ხელთ გვაქვს
რომლიდანაც სჩანს, რომ ო
სულია. შემდეგ მან წარმოგვ
ვიღაც მოხუცი და განაცხა
ისიც მისი ოჯახის წევრია. კი
რა დამოკიდებულება აქვს მას
თან, აბაშიძე ამბობს, რომ ის
მისი სიმამრის ბიძაშვილის შ
შვილი.

როდესაც ჩვენ განუმარტ
შეუძლებლობა, ის მაინც თავი
იძახოდა.

ერთი სიტყვით ისინი სცდ
ყოველგვარი საშუალებით გ
თავისი ოჯახის წევრთა რიცხვ
დით რა იმათი ხრიკები, ჩვენ მაი
ირათ ვექცეოდით და არ უ
სიტყვიერ განცხადებას. რამ
სიტყვა ექ. ივანე გომა
შესახებ. ივანე გომართელს,
მელიც სცხოვრობს თბილისში
ბილი მეშვ კია) აქვს დიდი
ბ რამდენიმე სახლი ამასთანავ
6 სულზე მოდიოდა თითქმის
სამსახური. ზარშან მან გადა
გლეხებს სიმინდის ღალა თუ
ნება არ ქონდა. განკარგულ
არ აეღოთ ღალა. მან მაინც
გომართელს თბილისში აქვს
და საექიმო პრაქტიკა. ჩვენ
მოვართვით ყველაფერი, არ
ვეთ არავითარი ნორმა, კ
ამის დაშვება შეუძლებელი ი

მუშაობა მაზრაში მოწყო
ლია ნაწილობრივ მიწადმო
განყოფილების მიერ და იგი
ლობს ყოველგვარ ზომებს მი
ფორმის გასატარებლად.

საჩხერის რაიონში მიწები
ლები ჩამოერთვა შემდეგ
წერეთელს, იაშვილს, მა
გომართელს, აბდუშელაშვ
სხვებს.

ვ. მეგრელიშვ

ამხ. ჩიჩერინის დეკლარაციები ლოზანის კონფერენციაზე

პირველი დეკლარაცია

მოკავშირეთა არა ლეგალური მოლაპარაკება.

6 კვირის იძულებითი უმოქმედობის შემდეგ, რაც ნათლად ამტკიცებს ჩვენს მისწრაფებას ზავისადმი და ჩვენს სურვილს რომ მივაღწიოთ შეთანხმებას, ჩვენ მივიღეთ დოკუმენტი სათაურით: „პროექტი სრუტეების რეჟიმის კონვენციის საკითხის შესახებ“. ეს დოკუმენტი მრავალ პუნქტებში განსხვავდება მიმწვევ სახელმწიფოთა მიერ წინეთ წარმოდგენილ პროექტებისაგან. მათ შეიტანეს უკანასკნელ პროექტში რამოდენიმე დათმობა. მეორე მხრით ის შეიცავს აგრეთვე რიგ დათმობათა ოსმალეთის მიმართ. ვინ შეიტანა წარმოდგენილ პროექტში ეს ცვლილებები და რა მოტივებით? ჩვენ ეს არ ვიცით. ეს არა ლეგალური მოლაპარაკების შედეგია. სვენთვის ეს მოლაპარაკება არ არსებობს. ჩვენ გვაქვს საქმე სრუტეების კონვენციის პროექტთა, რომლის გამომუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია რუსეთს, უკრაინას და საქართველოს.

სხვა სახელმწიფოთა ნებისყოფით

ჩვენთვის ეს ახალი პროექტია, რომელსაც კიდევ გარჩევა ესაჭიროება. ახალი კონტრ-პროექტის წარმოდგენით მიმწვევი სახელმწიფონი უბრუნდებიან მოლაპარაკების იმ მომენტს, როდესაც კონფერენცია მიუახლოვდა დასასრულს.

რუსეთის, უკრაინის და საქართველოს დელეგაციას აქვს თავის წინ პროექტი, რომელიც წარმოადგენს ვიღაც სხვის ნებისყოფას. თუ თქვენ გსურთ თავს მოგვახვიოთ კონვენენციის, პროექტი, რომელიც არის სხვა სახელმწიფოთა ნებისყოფის გამოხატულება—გვითხარით ეს ჩვენ, რათა გაიგოს ეს ჩვენმა ხალხმა, რათა გაიგოს ეს მთელმა ქვეყანამ.

მაგრამ შესაძლოა, ამა თუ იმ მხარის პოზიცია საკმაოდ იყო გამორკვეული წინეთ? სრულებით არა. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ გვსურს ვაწარმოვოთ მოლაპარაკება, რომ აუცილებელია ურთიერთ დათმობაზე წასვლა.

მაგრამ ჩვენ კონტრ-პროექტის წინადადებები დატოვებულ იქნა უყურადღებოთ. ეხლა კი, როდესაც კონფერენცია უახლოვდება დასასრულს, ჩვენ გვირდგენენ ახალ პროექტს, რომელსაც ცდილობენ უწოდონ უკანასკნელი.

რუსეთის წინადადებანი.

მიუხედავათ იმისა, თუ მოისურვებენ ჩვენთან მოლაპარაკების წარმოებას, ჩვენ წავიდოდით დათმობებზე: ჩვენ მზათ ვიყავით საერთო შეთანხმების ინტერესებისათვის დაგვეშვა უმაღლესი მნიშვნელობის დათმობა. ჩვენ მზათ ვიყავით შევერთებოდით ოსმალეთის დელეგაციის წინადადებას, შავ ზღვაში უცხოეთის სახელმწიფოების საზღვაო ძალთა შეზღუდვის შესახებ, შევიტანდით რა შიგ რამოდენიმე შესწორებებს.

ოსმალეთის წინადადების თანახმად უცხოეთის სახელმწიფოების ძალთა საერთო ტონაჟი უნდა უდრიდეს ყველაზე უფრო ძლიერ შავი ზღვის ფლოტს. ჩვენ ვსთვლით ამას საშიშროებათ, ვინაიდან შავი ზღვის რომელიმე ფლოტი შესაძლებელია ხელოვნურად გადიდებულ იქნეს და თუ მას შეუერთდა უცხოეთის სახელმწიფოთა ძალა, შავ ზღვაზე წონასწორობა დაირღვევა.

ამისათვის ჩვენ სახეში გვქონდა წინადადება მიგვეცა, რომ უცხოეთის ფლოტების საერთო ტონაჟი უდრიდეს შავი ზღვის ფლოტთა შორის საშუალო ძალის ფლოტს.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ოსმალეთის ფლოტი ეკუთვნის არა მარტო შავ ზღვას, არამედ ეგეის და მარმარილოს ზღვებსაც, არსებობს მხოლოდ ხუთი შავი ზღვის ფლოტი. ამისდამიხედვით ჩვენ წინადადებას ვიძლევით, რომ უცხოეთის სახელმწიფოთა ფლოტების საერთო ტონაჟი უდრიდეს შავ ზღვის სახელმწიფოთა ფლოტების საერთო ტონაჟის ერთ მეხუთედს.

ჩვენ მზათ ვიყავით წარმოგვედგინა შემდეგი ტექსტი:

„ოსმალეთის მთავრობას შეუძლია ყოველ შემთხვევაში ნება დართოს შავ ზღვაში სრუტეებით გასვლა, გარდა წყალ ქვეშა ნავებისა, უცხოეთის სახელმწიფოთა ყველა მსუბუქ სამხედრო გემებს იმავე სახელმწიფოთა კომერციულ ინტერესების დასაცავად, სამეცნიერო ან გუმანიტარულ მიზნებით ან და რაიმე სტიქიურ უბედურების შემთხვევის დროს ამ სახელმწიფოების მკვიდრთა დასახმარებლად.

„მაგრამ არა შავი ზღვის სახელმწიფოთა იმ სამხედრო გემების საერთო ტონაჟი, რომლებიც ერთდროულად გადიან სრუტეებში და ერთდროულად იმყოფებიან შავ ზღვაში და სრუტეებში, არასოდეს არ უნდა აღემატებოდეს ყველა შავ ზღვის სახელმწიფოთა შეიარაღებულ გემების, გარდა წყალქვეშა ნავებისა, საერთო ტონაჟის ერთ მეხუთედს. ამ სახელმწიფოთა რიცხვში არ შედის ოსმალეთი“. კიდევ მეტი: ჩვენ გვსურდა გაგვერჩია სრუტეების კონვენციის სხვა და სხვა პროექტების ტექსტები და წარმოგვედგინა შესწორებები. ხელშეკრულების დადება ნიშნავს ყოველივე მის დეტალის ერთად დამუშავებას; დღეს ჩვენთვის წარმოდგენილ ახალ პროექტში კი გამოთქმულია მხოლოდ მოკავშირეთა შეხედულებანი. ამისათვის ჩვენ გეკითხებით: ვინ გვაწოდებს ეხლა ამ ახალ პროექტს და რა უფლებით გვაწოდებს ახალ პროექტს, რომლის გამომუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია მასში დაინტერესებულთ? როგორ უნდა გამართლდეს ასეთი პროცედურა? მე ვსვამთ კითხვას: გსურთ თქვენ თავზე მოგვახვიოთ ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს სხვა სახელმწიფოთა ნებისყოფას, თუ თქვენ მზათ ხართ გაასწოროთ თქვენი შეცდომა და გაარჩიოთ პროექტი პუნქტებათ ე. ი. ქვე-კომისიაში?

მეორე დეკლარაცია

„მე ძალიან ვწუხვარ, რომ ბ. თავმჯდომარის ანგარიშის მიხედვით, ჩვენ შორის არსებული უთანხმოებანი შეურიგებელი აღმოჩნდა.

ბ-ნმა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შვიდჯერ გაიმართა სრუტეების კომისიის სხდომა, რომელზედაც ჩვენ შევეძლო შევთანხმებულიყავით. მე ნებას მივცემ ჩემ თავს, მოგაგონოთ ის, რასაც ადგილი ქონდა ამ შვიდ სხდომაზე. თუ ჩვენ გვქონდა საშუალება ვყოფილიყავით ერთ ოთახში კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოებთან ერთად, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვქონდა საშუალება მოლაპარაკება გვეწარმოებინა.

მოლაპარაკების წარმოება ნიშნავს იმას, რომ ერთად გაგვეხილა როგორც ძირითადი საკითხები, ისე მათი დეტალები. გაგვერჩია უთანხმოებანი, გამოგვერკვია ის, თუ რაში ეწინააღმდეგება ერთის ინტერესები მეორის ინტერესებს, გამოგვენახა მათ შორის კომპრომისები. რის გაკეთება შეგვეძლო ჩვენ ამ შვიდ სხდომაზე? ჩვენი საერთო გეგმა მთლიანად იქნა უარყოფილი. როდესაც ჩვენ წარვადგინეთ კანონპროექტი, რომელიც შეიცავდა ზოგიერთ დათმობებს, იგი უარყოფილ იქნა განუხილველად.

კერზონი არ არის მართალი.

სრულიად არ შეეფერება სიმართლეს, თითქოს სრუტეების კომისიამ დაადგინა, რომ მასთან არ იქნება ქვეკომისია. პირიქით, როდესაც 8 დეკემბრის სხდომაზე მე შევეკითხე, თუ როდის შეიკრიბება ქვეკომისია პროექტის განსახილველად, მე მითხრეს, რომ ამისათვის მომენტი ჯერ არ დამდგარაო. მე დავესწარი სრუტეების კომისიის ყველა სხდომებს, და მე ვაცხადებ, რომ რუსეთის, უკრაინის და საქართველოს დელეგაციებს არ მიუღიათ მონაწილეობა ამ კომისიის გადაწვეტილებაში არ გამოეყოთ ქვეკომისია და არც დასწრებია ასეთ გადაწყვეტილების მიღების დროს.

ექსპერტების მუშაობა.

რაც შეეხება ექსპერტების მუშაობას ავტორიტეტულ წყაროსაგან და სახელდობრ, კონფერენციის თავმჯდომარისაგან ჩვენ მივიღეთ განმარტება, რომ ექსპერტთა კრებების ერთადერთ მიზანს შეადგენდა კონფერენციის მონაწილეთათვის საინფორმაციო განმარტებების მიწოდება. ამ გვარად გამორკვეული იყო, რომ ექსპერტებთან კონსულტაცია სრულიათაც არ არის მოლაპარაკება.

ჩვენმა ექსპერტებმა დასტოვეს ერთი სხდომა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ გამოირკვა მიდრეკილება რუსეთის, უკრაინის და საქართველოს წინააღმდეგ; არ სურდათ, რომ ამ ქვეყნების დელეგაციებს მიეღოთ მონაწილეობა სრუტეების დემილიტარიზაციის საკითხის განხილვაში, მეორეც იმიტომ, რომ ექსპერტთა თათბირის მოლაპარაკებად გადაქცევის შემდეგ, ამ მოლაპარაკებას რუსეთის და მისი მოკავშირეების მონაწილეობის გარეშე აწარმოებდენ.

არსებული პირობები.

20 დეკემბრიდან დაწყებული ჩვენ სრულიად ჩამოგვაშორეს მოლაპარაკებას, მიუხედავათ ჩვენი მრავალ განცხადებისა. შესაძლებელია თუ არა აქ არსებულ პირობებში განვაახლოთ ეს მოლაპარაკება? ავიღოთ მაგალითად კონვენციის პირველი დამატების „ა“ პარაგრაფი. „გემების მიმოსვლის სრული თავისუფლება დღე და ღამის განმავლობაში, როგორიც არ უნდა იყოს ფლაგი და გემის ტვირთი, ყოველგვარი ფორმალობის, და გადასახადების გარეშე, გარდა უბრალო სამსახურის ანაზღაურებისა, როგორც ლოცმანის, გემების მიბმის, მაიაკის და სხვა ამგვარი სამსახურისათვის, იმ პირობით, რომ არ იქნება შელახული ის უფლებები, რომლითაც სარგებლობენ დაწესებულებანი და წარმოებანი, რომელთაც აქვთ აღებული კონცესიები ოსმალეთის მთავრობისაგან.

მე გეკითხებით: რა „გადასახადებია“ ეს გადასახადები რა, „დაწესებულებაზე და წარმოებებზეა“ აქ ლაპარაკი? ჩვენ უნდა ვიცოდეთ ეს, ჩვენ უნდა განვიხილოთ ეს ბაჟები, უნდა განვიხილოთ ამ დაწესებულებათა და წარმოებათა სტატუტი, ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ არიან თუ არა ისინი სანდო დაწესებულებანი. ჩვენ ამით წინადადებას გვაძლევენ შევბორკოთ რუსეთის ვაჭრობა. ამ გადასახადებს შეუძლია გადასწყვიტონ მთელი ჩვენი სამხრეთის ვაჭრობის ბედი.

ჩვენგან მოითხოვენ, რომ ჩვენ მოვუწეროთ ხელი თეთრ ქაღალდზე. აი რამდენი საკითხები ისმება მხოლოდ ერთი აბზაცის გარშემო. ამ საკითხების გადაწყვეტაში თავიანთი მთავრობების ჩარევა შეუძლიათ არა ექსპერტებს, არამედ სრულუფლებიან დელეგატებს.

ბ-ნმა თავმჯდომარემ ჩვენ გვითხრა, რომ მომწვევ სახელმწიფოების დელეგატებმა მოისმინეს რუსეთის, უკრაინის და საქართველოს განცხადებანი, და ანგარიში გაუწიეს მათ თავის პროექტში. სწორედ ასევე უსმენდა მეფე პროვინციების წარმომადგენლებს და ერთ პიროვნულად გამოჰქონდა გადაწყვეტილებანი. სუვერენულ სახელმწიფოებს შორის არსებულ ურთიერთობა ჩვენ სხვაგვარად გვაქვს წარმოდგენილი.

რუსეთს აძლევენ წინადადებას შეიარაღდეს.

რაც შეეხება საკითხის შინაარს, უკვე ძალიან გვიანია მისი განხილვა. მაგრამ მე მსურს ერთი შენიშვნის გაკეთება. ბ-ნ თავმჯდომარის სიტყვები, რომ საზღვაო ძალების საკითხების გადაწყვეტა დამოკიდებულია რუსეთზეო, ნიშნავს იმას, რომ რუსეთი უნდა შეიარაღდეს. აი რჩევა, რომელიც ჩვენ მოგვეცა.

ჩვენ გვაიძულებენ ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულებას.

რაც შეეხება თავმჯდომარის განცხადებას, რომ პროექტი გამოხატავს აგრეთვე ოსმალეთის შეხედულებებსო, ჩვენ ვიცით როგორი ულტიმატუმებით და ომის მუქარით თავზე ახვევენ მას ამ შეხედულებებს. ჩვენ გვეუბნებიან, რომ, როდესაც გვიცხადებდენ „ან ხელი მოაწერეთ ან წადითო“, ჩვენ თავზე არ გვახვევდენ ხელშეკრულებას.

ასეთი მოთხოვნილება არის ის, რასაც სახელად ეწოდება „ხელშეკრულების თავზე მოხვევა“.

რუსეთი, უკრაინა და საქართველო არ იღებენ პროექტს.

იღებს რა მხედველობაში იმას, რომ კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი კონვენციის პროექტი სრუტეების რეჟიმის შესახებ, ემუქრება რუსეთის, უკრაინის და საქართველოს უშიშროებას და სასიცოცხლო ინტერესებს, რომ იგი შეუძლებლად ხდის ახლო აღმოსავლეთში და შავ ზღვაზე მტკიცე მშვიდობიან მდგომარეობის დამყარებას, რომ მის მიღებას შედეგად მოჰყვება რუსეთზე და სხვა ქვეყნებზე საზღვაო შეიარაღების ზედმეტი ტვირთის დადება, და რომ იგი აფერხებს საერთო მშვიდობიანობის დამყარებას, იცავს რა მეორეს მხრივ 1921 წ. რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებულ მოსკოვის ხელშეკრულების 1 მუხლს, რომელიც დადასტურებულია ოსმალეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის დადებულ ყარსის ხელშეკრულებით და ოსმალეთ-უკრაინის შორის დადებულ ანგორის ხელშეკრულებით, რომელიც ამბობს, რომ თვითეული მხარე ვალდებულია პრინციპიალურად არ სცნოს არავითარი სხვა რომელიმე ხელშეკრულება ჰ არავითარი საერთაშორისო აქტი, რომელიც სურთ თავზე მ
რომელიმე მხარეს და ბოლო
რა მტკიცედ დარწმუნებულ
რომ ოსმალეთის ხალხი, გა
რა ბრძოლას, განთავის
საზავო პირობებისაგან, რ
თავზე ახვევენ მას ამ ჟამა
ძლიერნი სახელმწიფოები,
სურვილია დაარღვიონ მის
უკიდებლობა და სუვერენ
ბები და რომელნიც მომავ
მივ საფრთხეს წარმოადგენ
ლისათვის,—**რუსეთის, უკ
საქართველოს დელეგაცი
არ ეთანხმება მომწვევ ს
ფოების პროექტს,—აცხად
იგი განაგრძობს წინაა
დამონების და ძალადობის
კის მიმართ, რომლის გამ
ბახაც შეადგენს ეს პრ
აღნიშნავს ამ კონფერენცი
რებას ნამდვილი მშვიდო
განხორციელების საქმეში.**

**სრუტეების საკითხი გა
ტელია.**

ამ ჟამად რუსეთთან, უკრ
საქართველოსთან შეთანხმე
ლი არ არის. არ იყო არ
რაკება და ცდაც კი მოლ
დენ რუსეთს, უკრაინას და
ველოს. ასეთ პირობებში
ლია სრუტეების საკითხის

ეს საკითხი გადაჭრილი
და ვერც იქნება გადაწყვე
სეთის, უკრაინის და საქ
გარეშე. თუ კონვენციებს
წერენ რუსეთის, უკრაინის
თველოს გარეშე, ეს
ქვეყნები სრულიად თავის
ბიან და იტოვებენ მოქმედ
თავისუფლებას. თუ რომ
ხელმწიფოებმა ხელი მო
კონვენციას, რუსეთის, უკ
საქართველოს გარეშე, სრ
კითხი მომავალშიაც ღია

ამიერ-კავკასიის ეკონომიური თათბირი

ამიერ-კავკასიის ეკონომიურ საკითხების ყოველმხრივ გასაშუქებლად და მეურნეობის მახლობელ პერსპექტივების გამოსარკვევად ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო იწვევს ა. წ. 1 მარტისათვის ქ. თფილისში ამიერ-კავკასიის ეკონომიურ თათბირს, საოლქო და ადგილობრივ ეკონომიურ სახ. კომისარიატების, სახელმწიფოებრივი სავაჭრო ორგანიზაციების, კოოპერატივთა პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა და აგრეთვე მეურნეობის სხვადასხვა სპეციალისტებისა და მცოდნეთა მონაწილეობით.

თათბირის დღის წესრიგი:

1) ამიერ-კავკასიის ეკონომიკის საერთო მიმოხილვა.
2) ა. ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობა და მისი განვითარების ფორმები.
ბ. საქონლის მოშენების მდგომარეობა და მისი პერსპექტივები;
გ. საძოვრების საკითხი;
დ. ტყის მეურნეობა.
3) სამრეწველო მცენარეთა კულტურა და მათი განვითარების პერსპექტივები.
4) მხარის წყლის მეურნეობა და ირრიგაციის საკითხები.
5) ამიერ-კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრენი.
6) დამმუშავებელი მრეწველობის ფორმები და ამოცანები.
7) ა. ელექტროფიკაცია;
ბ. უღელტეხილის ელექტრონის გზა.
8) ამიერ-კავკასიის ფულის სისტემა და პერსპექტივები.
9) გადასახადები და სავადასახადო პოლიტიკა.
10) მიმოსვლის გზები და საშუალებანი (მათი მდგომარეობა და განვითარების საკითხები).
11) საგარეო ვაჭრობა და საბაჟო პოლიტიკა.
12) ამიერ-კავკასიის ბაზრები.
13) შინაური ვაჭრობა, მისი ორგანოები და ვაჭრობის კანონმდებლობა
14) კოოპერაცია საბჭოთა მეურნეობის სისტემაში.
15) ამიერ-კავკასიის სამეურნეო სამმართველოს ორგანიზაციის ფორმა.

ყრილობაზე მოწვეული არიან:

უმაღლეს საოლქო ორგანოების—ამიერ-კავკასიის ცაკის, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს და სრულიად-რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენლები გაერთიანებულ სახალხო კომისარიატების: ფინანსთა სახალხო კომისარიატის, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის, სასურსათო სახალხო კომისარიატის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, გზათა სახალხო კომისარიატის და შრომის სახალხო კომისარიატის სახალხო კომისრები; რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების,—სავაჭრო სამმართველოს—გამგეები; ამიერ-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის, რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის, პურის პროდუქტის განყოფილების, ამიერ-კავკასიის კავშირის, ცენტრო კავშირის და საბაჟო სამმართველოს ხელმძღვანელები; რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლები; რესპუბლიკების მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატების, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სახალხო კომისრები; ფინანსთა სახალხო კომისარიატის, სასურსათო სახ. კომ., მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულები; ბამბის მოშენების კომიტეტების, მუღანის სამელიორაციო აღმშენებლობის განყოფილების, სომხეთის სახელმწიფო ვაჭრობის განყოფილების, ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატის, ს. ს. ს. რ. სახალხო ბანკის, სახელმწიფო ბანკები, საქ. ს. ს. რ. კოოპერატიული ბანკის, „ჩემო“-ს, აზერბეიჯანის თევზის და აბრეშუმის მრეწველობის განყოფილებების გამგეები; პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები; ცეკავშირის, აზერბეიჯანის კოოპერატიული კავშირის, სომხეთის კოოპერატივთა კავშირის, აფხაზეთის კავშირის წარმომადგენლები; ცენტრალური სტატისტიკური განყოფილებების გამგეები.

განზრახულია აგრეთვე პერსონალურად მოწვევა ამიერ-კავკასიის ქარხნების წარმომადგენლების, სპეციალისტების (აგრონომების, ინჟენერების, ეკონომისტების და სხ.).

ყრილობის მოწვევა დაკისრებული აქვს ამიერ-კავკასიის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს, სადაც შეიძლება ყოველგვარი ცნობების მიღება.

შეფების ბიურო

წინადადებას აძლევს შეფების რწმუნებულთ (ამიერ-კავკ. საგარეო ვაჭრობის, „ცენტრო კავშირის“, ამიერ-კავკ. კოოპ. კავშირის, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ა. | კ. ბიუროს, ამიერ-კავკასიის ცაკის, ამიერ კავკ. რკ. გზის სამმართველოს, ამიერ კავკ. რკ. გზის გამგეობის, ამიერ-კავკ. სატრანსპორტო დამხმარე საზოგადოების, ქალაქის ალმასკომის, საქართველოს სახ. კომისართა საბჭოსი, სახ. სასურს. კომისარიატის ა. | კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის, საქ. პროფკავშირთა საბჭოს, მიწათმოქმედ. სახკომისარიატის, მუშათა მთლიან კოოპერატივის, ჯანმრთელობის სახ. კომ. და ფოსტა-ტელ. სახკომისარიატის) დაათვალიერონ პირადათ შეფების ქვემდებარე ნაწილების ყაზარმები და (22 თებერვლისათვის)

საზეიმო დღეებისთვის

დაასრულონ მათი შეკეთება.

ქალაქის ალმასკომის და მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის რწმუნებულებმა დამატებით მიიღონ შეფების ბიუროში ცნობა ყაზარმათა შეკეთების წესის შესახებ.

დანარჩენ შეფების რწმუნებულნი (სრ. რუსეთის სახ. მეურნეობის, ა. | კ. საგარ. ვაჭრ. კომისარიატის, საქ. ცაკის, საქ. სახ. ბანკის, საქ. ფინანს. სახ. კომისარიატის) უნდა შემოიარონ შეფების ბიუროში.

შეფების ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი: **არუსტანოვი.**

განყოფილების მიერ კონსტანტინოპოლიდან მიღებულია მანუფაქტურის დიდი პარტია, რომელიც იგზავნება ცენტრში. ამ ჟამად ბათუმის განყოფილების განკარგულებაში არის თივის, ბზის და სიმინდის დიდი პარტია.

აჭარა.

იუსტიციის კომისარიატის რევიზია. მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულის ხელმძღვანელობით დაიწყო აჭარის იუსტიციის კომისარიატის და სახალხო სასამართლოების რევიზია.

ექიმები სკოლებთან. ჯანმრთელობის კომისარიატის სანიტარულ-ეპიდემიურ განყოფილების მიერ მუშავდება პროექტი სკოლებში მუდმივ ექიმთა თანამდებობების შემოღების შესახებ. ამ ექიმების თვალყურის დევნებით, ისე როგორც რუსეთში, სკოლებში შემოღებული იქნება გაკვეთილები ბავშვების ფიზიკურ აღზრდისათვის.

აზერბეიჯანი

ბაქო. 18 თებ. სასოფლო-მეურნეობის კურსები გლეხებისათვის. ბაქოს საბჭოს სასოფლო-მეურნეობის სექცია აწყობს ბაქოს საბჭოს გლეხწევრთათვის მოკლევადიან სასოფლო-მეურნეობის კურსებს.

შეღავათები სამხედრო მოსამსახურეებს. ბაქოს საბჭოს სამხედრო სექციამ დაადგინა შეკრიბოს საბჭოთა რუსეთში და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გამოცემული დეკრეტები და დადგენილებები სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ და გაატაროს ის აზერბეიჯანში კანონმდებლობითი წესით.

გაზეთის ფრონტზე. ადგილობრივ გაზეთების დამოკიდებულება ფაბრიკა-ქარხნებთან დღითი დღე ძლიერდება. თითქმის ყველა წარმოებებს ჰყავთ მუშა კორესპონდენტები. კორესპონდენტების რიცხვი გაიზარდა რამოდენიმეჯერ.

პურეული გლეხებისათვის. შუშის სამაზრო სასურსათო კომისარიატმა მისცა სიმშილის შედეგებთან ბრძოლის სამაზრო კომიტეტს 3,000 ფუთი ქერი ღარიბ გლეხებისათვის დასარიგებლად. დარიგება ხდება საუბნო ალმასკომების საშუალებით. ახლო მომავალში დარიგებული იქნება კიდევ 2000 ფუთი ხორბალი.

მარილის მრეწველობის სამმართველოში. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ეკონომიურმა სექციამ დაამთავრა აზერბეიჯანის მარილის მრეწველობის სამმართველოს რევიზია. რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ამ საქმის სათავეში საგანგებოდ მოწვეულია პირები თავიანთი მოქმედებით დასცეს აზერბეიჯანის მარილის მრეწველობა. მარილიანი ტბების იჯარით გაცემა მოხდა საზიანო პირობებში.

ამხ. საშა ობოლაძის ხსოვნას

ეს იყო შარშან, 1922 წლ. აპრილის ბოლო რიცხვებში. ქალაქ სურამში ჩამოვიდა ამხ. საშა ობოლაძე და სთხოვა ალმასკომს, რომ მის საზაფხულოთ მომსვლელ სამოსწავლო ათასეულისათვის მიეცათ დასაბანაკებელი ალაგი. ალმასკომმა, აღვსილმა წითელი ჯარისადმი სიყვარულით, მაშინვე დაუთმო ამხ. საშას ქ. სურამში ერთ-ერთი საუკეთესო ალაგი ჯარისათვის. მაისის ბოლო რიცხვებში ამხ. ობოლაძე თავის ათასეულით ჩამოვიდა ქ. სურამში. ჩამოსვლისთანავე იგი ჩაება ალმასკომის და კომუჯრედის მუშაობაში. მაშინვე მოგვთხოვა სიები იმ გლეხების, რომლებიც თავის სიღარიბით უკან იყვნენ დარჩენილნი სათოხით ან პურის მომკით. სიების მიღებისთანავე მეორე დღესვე ამხ. საშა გემგზავრა თავის კარგათ გაწვრთნილ ნაწილით იმ სოფლებში, საცა ჰქონდათ სამუშაო. გლეხები დიდი აღფრთოვანებით შეხვდენ, გაინაწილეს ჯარის კაცები და შეათავეს დარჩენილი მინდვრის მუშაობა. მართალია მტრები ავრცელებდენ კიდეც ხმებს, რომ ჯარის კაცები სამაგიეროთ მოითხოვენ თავის მუშაობაში ნახევრის მოსავლისას, მაგრამ გლეხობა ამ პროვოკაციას შეგნებულად შეხვდა. ამ რიგათ, ამხ. საშას ხელმძღვანელობით მისმა ჯარის კაცებმა დაამუშავეს სურამის თემში სხვა და სხვა სოფლებში ას დესეტინამდე სიმინდი.

ერთი საბჭოს კრება არ ჩაგვიტარებია ისე, რომ ამხ. საშა არ დასწრებოდა მას და არ გაეკეთებინა თანამედროვე საკითხებზე მოხსენება, აგრეთვე იმართებოდა ალმასკომის ხელმძღვანელობით მიტინგები და იქაც მხურვალე სიტყვებს ეუბნებოდა გლეხობას. ამხ. საშას არც თეატრი დავიწყებია, მოაწყო მოთამაშეთა წრე, ხანგამოშვებით იწვევდა თბილისიდან მსახიობებს და მართავდა წარმოდგენებს, კონცერტებს და სხვა. ერთი სიტყვით მარტო ერთ ზაფხულის განმავლობაში დიდი ამაგი დასდო სურამს და მის თემის გლეხობას.

და აი, ა | წ. თებერვლის 14 ჩვენ გაზეთ „კომუნისტის“ 33 №-ში ვკითხულობთ ფრიად აღმაშფოთებელ და გულის შემზარავ ამბავს: ქ. ოზურგეთის ორი ვერსის მახლობლად მოჰკლეს საკადრო ბატალიონის სამხედრო კომისარი ამხ. ობოლაძე, ბატალიონის უფროსი ამხ. სანიკიძე და გუნდის უფროსი თანაშემწე ამხ. ჩუბინაშვილი-ო. ამ ამბავმა პარტიულ ამხანაგებში და ქ. სურამის პატიოსან მოქალაქეებში დიდი მწუხარება და აღშფოთება გამოიწვია. შეიძლება მოწინააღმდეგე პარტია ფიქრობდეს, ამა თუ იმ ამხანაგის სიკვდილით რევოლიუციონურ ჩარხის ტრიალს შეაჩერებენ ან უკან დააბრუნებენ, მარა ძალიან მოსტყუვდებიან.

რა თქმა უნდა, დიდი დანაკლისია მუშათა კლასისათვის ამისთანა მებრძოლის დაკარგვა, როგორც არის ამხ. საშა, რომელიც 20 წლის განმავლობაში ჯერ ნიკოლოზის და მერე მენშევიკების დროს იტანჯებოდა და ბოლოს მათივე ხელით იქნა განგმირული.

მაგრამ ამით ჩვენი რიგები არ შედრკება. ჩვენ მეტი ენერგიით განვაგრძობთ შენი საყვარელ რევოლიუციონურ საქმეს.

ამხანაგო საშა! შენი სახელი კი არას დროს არ ამოიფხვრება მშრომელთა ხალხის გულიდან.

ზიზღი მკვლელებს, ზიზღი მშრომელ ხალხის მოღალატეებს.

ლ. გოგოლაძე.

მკითხველის წერილები

სარწმუნოება და გლეხობა

> „ველარ გაუძლებს ქვეყანა ძველი
> განახლებისა ქარისა ქროლას,
> ველარ გაუძლებს ქვეყნის მძარცველი
> ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას“.

დიდებულ და უხილავ ისტორიულ გარდაქმნის ხანაში ვცხოვრობთ. ჩვენს თვალ-წინ იხრწნება, და სამარადისოთ ჰქრება ძველი ცხოვრების ნაშთები. უხსოვარ დროიდან შესისხლხორცებული სარწმუნოება, დაბეჩავებული ხალხის გონების მომწამლავი საეკლესიო წესები ველარ უმაგრდება „განახლებისა ქარისა ქროლას“...

ცრუმორწმუნოების ქვეყანა შეუბრალებლათ იღუპება. „მამა-პაპურ“ სიტკბოებას ჩვეული სამღვდელოება საუკუნო განსვენების განაჩენს ისმენს. ველარ შველის ძველი ნაცადი ჯადოსასწაულები. მათი ერთად-ერთი იმედი კარ-ჩაკეტილი გლეხობა იყო, მაგრამ აქაც უცნაური ცვალებადობა ხდება; აქაც იჩინა თავი „შეჩვენებულმა კომუნისტურმა ბაცილებმა“. გლეხი დაეწაფა გათვითცნობიერების წყაროს. ის გუშინდელი ცარიელი ქვევრი აღარ არის. მართალია მოძმე პროლეტარიატის აზროვნებამ გაუსწრო მას მაგრამ მაინც დაეტყო წინსვლა, ახალ ცხოვრების ფერხულში ჩაება. ერთი სიტყვით, მან იცნო მტერ-მოყვარე.

გლეხობის ღარიბი ნაწილი დარწმუნებულია, რომ საბ. მთავრობა და კომუნისტური პარტია ცუდს არაფერს ურჩევს, პირიქით მისი ერთგული მოსარჩლეა, მის სიკეთეზე ზრუნავს. კულაკების „მამობრივი“ დარიგება: „ღმერთი ნუ დაივიწყებ, ურიები ნუ გახდითო“ო,—მათზე არავითარ გავლენას არ ახდენს. პირიქით, ისინი უპასუხებენ: „ჩვენ დიდიხანია ღმერთს ვევედრებით, მაგრამ მან არა გვიშველარა, სანამ ჩვენი მთავრობა არ დავამყარეთო“. მას თავის მთავრობა ურჩევნია ყველა ღმერთებს. ამ შეგნებით ამეტყველდა გუშინდელი ბრმა-მორწმუნე გლეხი. ის მიხვდა, რომ სამღვდელოებაც ისეთივე მტერია მისი, როგორც ყოფილი მემამულე თავად-აზნაურები. სრულიათ ჭეშმარიტი აზროვნებაა!

ასეთია დღევანდელი სოფლის ცხოვრების სახე. ყველასაგან მივიწყებულ, და ყოველგვარ კულტურულ საზრდოს მოკლებულ გლეხს, ჯერ მეტი არ მოეთხოვება. მას ჯერ კიდევ ბევრი დრო დასჭირდება სანამ სრულიათ განიკურნებოდეს საუკუნებით შეთვისებულ ცრუმორწმუნეობის ზეგავლენიდან. ეს კი დამოკიდებულია ჩვენს ინტესიურ და შეუძლებელ მუშაობაზე.

ამ ორი წლის წინათ ვერც-კი გაბედავდი ღმერთის წინააღმდეგ ლაპარაკს. ჩვენს პარტიაში ჩაწერილი ზოგი გლეხი—კომუნისტების ამ მოსაზრებით გავიდენ პარტიიდან. როდესაც ვეკითხებოდით პარტიიდან გასვლის მიზეზს, გვიპასუხებდენ: „სახლში არ გვიშვებენ, კომუნისტები ურიები ხართ, ღმერთი არ გწამთო“. დღეს-კი ასე როდილაა. ნათელმა ახსნა-განმარტებამ, მუდმივმა პროპაგ.-აგიტაციამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო.

დასასრულ უნდა ავღნიშნო ერთი ღირსშესანიშნავი საკითხი. გლეხკაცის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს დედაკაცობა. ის ითვლება გლეხის ოჯახის „ბურჯათ“. მამაკაცობა უფრო მოძრავი არსებაა. ის დადის აქეთ-იქით, ესწრება ლექციებს, კრებებს, საუბრებს—ერთი სიტყვით ახალ-ახალი სიტყვები ეყურება. დედაკაცობა მოკლებულია ყველაფერს. კრებებზე დასწრება სათაკილოთ მიაჩნია, მამაკაცებთან დგომა „გარყვნილობა“ ჰგონია. მამაკაცს ბევრიც რომ ძაგდეს მღვდელი, დედაკაცი არ ეპოება, ის უფრო მაღლა აყენებს თავს, ქმარს „სულელს, ურია-ურწმუნოს“ უწოდებს, მიჰყავს ბავშვი და ანათლინებს მღვდელს. დედაკაცის ასეთი ყოფაქცევა დიდათ აფერხებს წინსვლის საქმეს, და ოჯახსაც აღატაკებს. ამ გარემოებას უნდა მიექცეს ღირსეული ყურადღება. უნდა მოეწყოს ქალთაშორის ორგანიზაციები. ხშირათ უნდა ხდებოდეს კრებები, საუბრები და სხვ. წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ დიდხან შეინარჩუნებენ სიცოცხლეს „წმინდა მამები“.

ალ. ცაბაძე.

ქალაქ ტფილისის მუშათა ახალგაზრდობის I-კონფერენცია

18 თებერვალს მუშათა ცენტრალურ კლუბის დიდ დარბაზში ქალ. ტფილისის მუშათა ახალგაზრდობის კონფერენცია შესდგა.

კონფერენციას ხსნის ამხ. ადამიანი, რომელიც აღნიშნავს კონფერენციის მნიშვნელობას მუშათა ახალგაზრდობის მოძრაობისათვის.

სიტყვას იღებს ამხ. **მიხა ცხაკაია,** რომელიც ესალმება კონფერენციას კომპარტიის ც. კ.-ს და ცენტრალურ ალმასკომის სახელით, რის შემდეგ გადადის საქმიან მოხსენებაზე **საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.** მომხსენებელმა აღნიშნა მუშების წინააღმდეგობა, რომლის გამო საფრანგეთის მთავრობამ ნახშირის სულ მცირე რაოდენობის გარდა რურიდან ვერაფელი გამოიტანა. საფრანგეთის ხარჯები კი რურში ჯარების შენახვისათვის კი ყოველდღიურათ 40 მილიონ დოლარს აღემატება.

ამხ. რადეკის ინფორმაციით, გერმანელ მუშების უდიდესი ნაწილი სასოწარკვეთილია უკანასკნელი ამბებით. ასევე გრძნობდენ ისინი თავს 1920 წელს, კონტრ-რევოლიუციონურ კაპპის ხელმძღვანელობით მომხდარ მონარქიულ აჯანყების დროს. ამით აიხსნება გერმანელ მუშების პასსიური მდგომარეობა, ამ ჟამათ კი გერმანიის ბურჟუაზია სტინნესის სახით ერთის მხრივ ხელს უწყობს პატრიოტულ მიზნით მუშათა გაფიცვას, მეორეს მხრით სცვლის გერმანულ ფასდაცემულ მარკებს უცხოეთის ვალიუტაზე და ინახავს ამ ფულს ინგლისისა და ამერიკის სხვა და სხვა ბანკში.

გერმანიის მდგომარეობა კატასტროფიულია, ვალიუტა ეცემა გასაოცარის სისწრაფით.

ის მდგომარეობა, რომლის აღმოფხვრა ჩვენ შევძელით, მუშათა და გლეხთა ერთსულოვან მუშაობით, შეიძლება სასიკვდილო სენათ გადაიქცეს გერმანიის თვის, სადაც მშრომელთა კლასი ჯერ არ განთავისუფლებულა ყვითელ სოციალისტების თავბრუ დამსხმელ გავლენისაგან.

მაგრამ მომავალი სასტიკი გამოცდები გამოაფხიზლებს მათ და საფრანგეთის და გერმანიის გაერთიანებული კომუნისტები გამოიყვანენ მათ სწორსა და ახალ გზაზე.

შეეხო რა ლოზანას კონფერენციას მომხსენებელმა, აღნიშნა რომ იქ გამომჟღავნდა კაპიტალის ნამდვილი სახე, რომელიც ცდილობს მტაცებლურად ხელს იგდოს მოსულის ნავთი. განახლებული ოსმალეთი არ სთმობს მოსულს და ეხლა დღიურ წესრიგშია ხიშტი, თეთრი ან წითელი ხიშტი.

სიტყვას იღებს რევოლიუციის მოხუცი გმირი ამხ. არაქელ ოქუაშვილი, რომელიც მიესალმა დაღლილ მებრძოლთა სანაცვლოთ მოსულს ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს.

წითელ მებრძოლთა სახელით კონფერენციას მიესალმება ამხ. ეგოროვი, რომელიც მოუწოდებს ახალგაზრდა კომუნარებს იყონ რევოლიუციის დაუღალავი დამცველნი და ფხიზელი დარაჯნი არმიის ზურგის.

შემდეგ გამოდის კასპიის ზღვის ფლოტის ადმირალი ნევსკი, რომელმაც მიუთითა კონფერენციას ფლოტის საჭიროებაზე,—სთხოვა მათ მორალური და ნივთიერი დახმარება და გამოსთქვა ახალი საომარ წითელი ფლოტის ახლო მომავალშივე შექმნის იმედი.

უკანასკნელი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა სრულიად რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ალექსეევმა. მან სთქვა, რომ ამ კონფერენციამ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება ახალგაზრდობის მოძრაობისათვის, დაამტკიცა რომ უდიდესი ნაწილი მუშათა ახალგაზრდობისა შემოკრებილია კომუნისტ. კავშირის გარშემო.

შემდეგ კონფერენცია საქმიან მუშაობისკენ გადადის. არჩეულია პრეზიდიუმი, რომელშიც შედის 11 კაცი. მოხსენებით „პროფკავშირები და მუშათა ახალგაზრდობა“ გამოდის ამხ. ბახუტოვი. პროფკავშირების მთელ მოძრაობას ის 3 ეტაპათ ჰყოფს. პირველი ეტაპია—1905—1917 წ.წ., — რომელშიაც მუშათა კლასი ბურჟუაზიასთან ბრძოლას აწარმოებდა. მეორე ეტაპი შეიცავს სამხედრო კომუნიზმის დროს დ მე-3-ე ეტაპია შემოქმედების ხანა.

შემდეგ ამხ. ბახუტოვი აღნიშნავს საბჭოთა რესპუბლიკების პროფკავშირთა თანდათანობითი განვითარებას და განმტკიცებას და არა პროლეტარულ ელემენტებისაგან განთავისუფლებას.

ამხ. ბახუტოვმა დაახასიათა ახალგაზრდობის მუშაობა პროფესიონალურ ორგანიზაციებში და გამოსთქვა აზრი, რომ ახალგაზრდობის კომკავშირმა უნდა დანიშნოს თავისი წევრთა განსაზღვრული რაოდენობა პროფორგანიზაციებში სამუშაოთ. ამით ახალგაზრდობა ჩაიბმება მუშაობაში და გამოიწვრთნება, როგორც ნამდვილი დამცველი მშრომელთა ინტერესების. ეხლაც კომკავშირის წევრები მრავლათ არიან მესტკომებში და პროფკავშირთა გამგეობებში პასუხსაგებ თანამდებობებზე, მოსავალში კი კ. ა. კ-ის გავლენა იქ უნდა გაძლიერდეს. ახალგაზრდა მუშებმა უნდა დაიკავონ სამეურნეო ფრონტზე მებრძოლ უფროს ამხანაგების ადგილები.

შემდეგ მოხსენებაში, ამხ. პიტერსკი ციფრებით ასურათებს ახალგაზრდობის კომკავშირის მუშაობას მუშათა ახალგაზრდობის შრომის, ყოფა-ცხოვრების და განათლების სფეროში.

დასასრულ კონფერენცია უთვლის სალამს ამხ. ლენინს და სომხეთისა და აზერბეიჯანის ახალგაზრდობას.

პარტიული ცხოვრება

თებერვლის დღესასწაულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წითელი არმიის 5 წლის თავის და საქართველოს გასაბჭოების 2 წლის თავის კამპანიის ჩასატარებლად ამაგრებს რაიონებზე შემდეგ ამხანაგებს:

1 რაიონი.

ცხაკაია, ორჯონიკიძე, ელიავა, ეგოროვი, კახიანი, სტურუა, ელისაბედაშვილი, ლეინი, კრუგლიკოვი, მუხინი, ვასილიევი.

2 რაიონი.

ორახელაშვილი მამია, სერგო ქავთარაძე, მიშა ოკუჯავა, ივანოვი-კავკაზსკი, თუმანოვი—(ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარი), კასიანი, რუხაძე, ერისთავი, სურევენკოვი, სოკოლოვსკი, კურულოვი, ბერეზინი, პუგაჩევი, ვრაჩევი, ბუდილოვი.

3 რაიონი.

მიასნიკოვი, ათარბეკოვი, ბუნიატზადე, ტალიბლი, იზმაილოვი, ერქომაიშვილი, ხანონიანი, ავაკოვი, არჩილ მიქაძე. კოსტანიანი, იუკაკი, კაჩელინი, იჯონ, პოპოვი, ივანოვი.

4 რაიონი.

გინსბურგი, ზამულაიშვილი, რუბენი, მოგილევსკი, ვირაპი, ბახუტოვი, გენკინი, გოლუბიევა, ტოროშელიძე, სნეგურევი, კოგანი, სუტირინი, მედვედიევი.

ტფილისის კომიტეტის სააგიტ-საპროპ. განყოფილების გამგე

მ. ესსენი.

ხაშურის რაიკომის სამი თვის მუშაობის ანგარიში.

ხაშურის რაიონში ითვლება სულ 17 კომუჯრედი. მათ შორის ორი რკინის გზაზე და დანარჩენები სოფლად და ქალაქად. ხცისის თემში არსებობს ხუთი კომიაჩეიკა; სურამში—შვიდი და ხაშურშიც—ხუთი. პარტიის გაწმენდის შემდეგ პარტიის წევრთა რიცხვი უდრის 370. სოფლის და ქალაქის ყოველ იაჩეიკაზედ რაიკომის მიერ მიმაგრებულია პასუხის მგებელი ამხანაგები, რომელთა მოვალეობას შეადგენს რეგულიარულად კვირაში ერთხელ დაესწრონ კომუჯრედის კრებას და სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ მათ; ხშირად იმართება ყველგან ღია კრებები, რომლებსაც ესწრება ბევრი უპარტიო გლეხები და მუშები. სხდომის შემდეგ ერთი საათით, იმართვება ყველა იაჩეიკების პოლიტიკური წრეებში მეცადინეობა, რომელთაც ხელმძღვანელობენ მიმაგრებული ამხანაგები, საანგარიშო დროას განმავლობაში ჩატარებულია კომუჯრედებში და სახალხო მიტინგებზე შემდეგი კომპანიები: 1. ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის შედეგები. 2. მიწის რევოლიუციონური სინდისით გაწესრიგების შესახებ. 3. რელიგიის და სამღვდელოების შესახებ. 4. ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების შესახებ. 5. რკინის გზის პროფესიონალური კავშირის ხუთი წლის თავი. 6. მოგონების დღე 7. წითელი ფლოტის მნიშვნელობის შესახებ. 8. მესამე კომინტერნის მეოთხე კონგრესის შესახებ და 9. უპარტიო გლეხთა კონფერენციების შესახებ.

ამნაირად ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მუშაობას ჰქონდა აგიტაციური ხასიათი. მთელ რაიონში გამართულ იქნა დიდი სახალხო მიტინგები, რომლებსაც დაესწრო მრავალი გლეხები და მუშები. უკანასკნელად რაიკომის მიერ სამ თემში ცალ-ცალკე: ხცისში, ხაშურში და სურამში იქნა ჩატარებული უპარტიო გლეხთა კონფერენციები, რომლებზედაც გარჩეულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. 2, სოფლის მეურნეობის აყვავება და მიწების კულტურული დამუშავების შესახებ, 3. სოფლად სწავლა-განათლების და მოზრდილთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ და სხვა საკითხები.

კონფერენციებზე გარჩეულ საკითხებმა ძლიერ დააინტერესა დამსწრენი, განსაკუთრებით საკითხებმა მიწების კულტურულ დამუშავების და სამღვდელოების საქმიანობის შესახებ. ამნაირად უპარტიო გლეხთა კონფერენციები რაკომის მიერ ჩატარებულ იქნა ჩინებულად. რაიკომი აგრეთვე საერთო ხელმძღვანელობას უწევდა სხვა და სხვა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, როგორც საბჭოთა, ისე პროფესიონალურს და მათთან შეთანხმებით სწყვეტს ყველა სადაო საკითხებს.

რაიკომი აგრეთვე უწევს ხელმძღვანელობას ახალგაზრდათა კომკავშირს; არსებობს ურთი-ერთ შორის წარმომადგენლობა, ეწყობა პარტიის და კომკავშირის წევრთა გაერთიანებული კრებები და სხვა.

კულტურული მუშაობა რაიონში გამოიხატება შემდეგში: არსებობს ორი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, სადაც მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობს; განძრახულია კიდევ ამ მოკლე ხანში ორი სკოლის გახსნა! არსებობს ოთხი სამკითხველო; რვა ქოხ-სამკითხველო სოფლებში. კომიაჩეიკებთან რაიონში მოწყობილია ხუთი კლუბი, ორი დრამატიული დასი და სამი სცენის მოყვარეთა წრე.

რაიკომის მდივანი **პ. ბოკერია.**

ზესტაფონის ცენტრალური იაჩეიკა

1923 წ. 2 თებერვალს შესდგა მორიგი კრება ქ. ზესტაფონის ცენტრალური კომიაჩეიკისა. კრებას დაესწრო ამხანაგების უმრავლესობა. დღის წესრიგში სხვა კითხვებთან ერთად—პირველ კითხვად იყო დასმული მოხსენება „ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნები“-ს შესახებ. (მომხსენებელია ამხ. გ. კიკნაძე) მოხსენების გარშემო მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. გ. კიკნაძისა—ამიერ-კავკასიის ერთიან ფულის ნიშნების შესახებ, ქ. ზესტაფონის ცენტრალური კომიაჩეიკა სავსებით იწონებს მთავრობის ასეთ მიზანშეწონილ პოლიტიკას და იმედს გამოსთქვამს, რომ გაერთიანებული ფულის ნიშნები ეკონომიურათ ააყვავებს შეერთებული საბჭოთა რესპუბლიკების წარმოებას, რითაც საშუალება მიეცემა მშრომელ მასსებს სპეკულიანტ-ჩარჩ ვაჭრებისაგან განთავისუფლებისა.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერაციას!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს!

სამტრედიის ქალაქის კომუჯრედის მუშაობა იანვრის განმავლობაში

ქალაქის კომ-უჯრედი ამ ოთხი თვის უკან იქნა დაშლილი და ამხანაგები მიწერილი იქნენ ახლო-მახლო კომუჯრედებზე სუსტ უჯრედებში მუშაობის გასაძლიერებლად. ამან მართლაც შესაფერი ნაყოფი გამოიღო. როდესაც მოხდა უჯრედების გადაჯგუფება 1923 წ. იანვრიდან ქალაქის კომ-უჯრედი აღდგენილ იქნა. ქალაქის უჯრედს შეუერთდა შემდეგი უჯრედები: მატხოვარის, მელაურის, ილორის, ნაფალაურის, ნაჩხეტურის, ძველი სამტრედიის და სხვა. ამნაირათ ეს უჯრედი შეიქნა მძლავრი პარტიული ორგანიზაციათ, სადაც მუშაობა დამაკმაყოფილებლათ მიმდინარეობს; წევრთა რიცხვი უდრის 38-ს, თანამგრძობნი—15.

ხუთშაბათს, 11 იანვარს შესდგა კომ უჯრედის სხდომა ამხ. შ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგი შემდეგი იყო:

1) მოხსენება სამაზრო მდივნების თათბირის შესახებ.
2) საწევრო გადასახადის შესახებ.
3) ბიუროს არჩევნები
და 4) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა უჯრედის მდივანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პირველ ხანებში რომ პარტიული მუშაობა, როგორც გამოირკვა თათბირზე, პირველ ხანებში გარგათ მიმდინარეობდა, მხოლოდ შემდეგ ძალზე შესუსტდა. თათბირმა გამოიტანა სათანადო დადგენილებები და მიიღო ზომები მუშაობის გასაძლიერებლათ.

— საწევრო გადასახადის შესახებ უჯრედმა მიიღო დადგენილება, რომლითაც წინადადება მიეცა ყველა წევრთ დაუყოვნებლივ შეიტანონ წარსული თვეების პარტიული საწევრო გადასახადი.

— ბიუროში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: 1) ბიკ. თელია, 2) ერ. ჭაია, 3) სამ. კიკაჩეიშვილი.

შემდეგ კომ-უჯრედის მდივანმა სახელმძღვანელოდ და ასასრულებლათ წაიკითხა ცეკას ცირკულიარები.

იმედი გვაქვს, რომ მუშაობა შემდეგში საგრძნობლათ გაუმჯობესდება.

ხან-კანი.

ეკონომიური ცხოვრება

ტფილისის ფულის ბაზარი.

18 თებერვალი

ყველა ვალიუტის, განსაკუთრებით რუსული ოქროს კურსი ცოტათი ეცემა. განწყობილება ბაზარზე მოდუნებულია.

საზღვარ-გარეთის საქონლის შემოტანა კიევის ბაზრობაზე.

ბაზრობაზე საზღვარ-გარეთის საქონლის შემოტანა შეიძლება საბჭოთა რუსეთის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ნომენკლატურის თანახმად, ხოლო დემონსტრაციისათვის ნიმუშების შემოტანა თავისუფალია.

ტფილისის ბაზარზე

18 თებერვალი

ტფილისის საქონლის ბაზარზე შემდეგი ფასებია: ყუბანის პურის ფქვილი სეიანკა ფუთი—800—900. ადგილობრივი ხორბალი ფუთი—400. გარჩეული ხორბალი ფუთი—420. ქერი ადგილობრივი ფუთი—280—300. სიმინდი ადგილობრივი ფუთი—280. პურის ფქვილი ადგილობრივი ფუთი—500. ყვითელი სიმინდის ფქვილი ფუთი—330—340. თეთრი სიმინდის ფქვილი ფუთი—350—360. ჰოლანდიური რაფინადი, კუნჭი შაქარი სამტომრიანი ყუთი 29 ოსმალ. ქაღალდის ლირა. ფხვნილი შაქარი ფუთი 6 ნახ. ოსმალ. ქაღალდის ლირა. ნარმა სსს „ძაღლის თავი“ 40 იარდი 20—22 ლირა საზღვარ გარეთული ჩითი იარდი 32—33 პიასტრი. რუსული ჩითი არშინი—130—160. ფრანგული სატინა მეტრი 60 პიასტრი. რუსული სატინა არშინი—160—170. სატინა ცინდ. სამი მეოთხედი არშინი 230—250. საზღვარ გარეთული მადეპალამი ნაჭრობით 40 იარდი 19—20 ლირა. ინგლისური შევიოტი № 3001 მეტრი 5 ლირა 80 პიასტრი. მარმარილოს საპონი ფუთი 2.600. მარსელის საპონი 50 კილ—23 ოსმალური ქაღალ. ლირა.

სპარსეთის ხალიჩების ბაზარზე.

უცხოეთის ექსპორტიორების, განსაკუთრებით ამერიკელებისა და ინგლისელების, ინტერესი სპარსეთის ხალიჩებისადმი მუდმივი იყო და აქამდე ერთ დონეზე იდგა.

ამ უკანასკნელ ხანს კი ხალიჩების მსხვილი პარტიებით შესყიდვა გასაოცარ ზომებს იღებს. უცხოეთის ფირმების ადგილობრივი აგენტები განუწყვეტელ იღებენ სათანადო ორდერებს ინგლის-ამერიკიდან. დამახასიათებელია ის, რომ შესყიდული ხალიჩები დაუყოვნებლივ იგზავნება უცხოეთში.

ხალიჩების დიდი მოთხოვნილების მიუხედავით, მოწოდების დიდ რაოდენობის გამო, რომელიც თითქმის ექსპორტს აღემატება, ხალიჩების ფასები ერთ დონეზე დგას. ხალიჩების გასაიაფებლათ, ინგლისური ბანკი სპეკულიაციას [illegible] სავალიუტო ბაზარზე.

სატყეო მეურნეობა საბჭოთა საქართველოში

(მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილების ცნობების მიხედვით).

საქართველოში ტყის მოედანი უდრის დაახლოვებით 1,600 დესიატინას, აქედან წიწვოვანი შეადგენს დაახლოვებით 1 მესამედს მთელი მოედნისა, დანარჩენი — ფოთლოვანს. რევოლიუციის შემდეგ სახელმწიფო ტყის აგარაკებს მიემატა დაახლოვებით 600 ათ. დეს: ჩამორთმეული კერძო აგარაკები. ეს ტყეები დღემდე უმეტესად გამოურკვეველია, შეუსწავლელია სხვა და სხვა ჯიშის ზრდის მხრივ, სისწორით არ არის გამორკვეული მოედანის რაოდენობა, მათი ექსპლოატაცია ხდება დატაცების წესით, მუდმივი სარგებლობის პრინციპის დაუცველად, რაც უზომოდ აფერხებს და აძნელებს რაციონალურ, გეგმაშეწონილ მეურნეობის წარმოებას.

ტყეების მოწყობა რევოლიუციამდე არსებულ პერიოდში სწარმოებდა ტაქსაციური პარტიების, მიერ, მაგრამ მათი მუშაობის რაიონს შეიცავდა მთელი ამიერ-კავკასია, ხოლო ამის გამო საქართველოში მოწყობილ ტყეების რაოდენობა არ იყო მნიშვნელოვანი.

17 წლიდან ტაქსაციური პარტიები იწყებენ მუშაობას მხოლოდ საქართველოსათვის და ამ ჟამად საქართველოს მთელი სატყეო მოედანის 18,6 პროც. უკვე მოწყობილია. ახლო მომავალში პირველ რიგში იქნება დასმული შემდეგი აგარაკების მოწყობა.

1) აგარაკების, რომლებიც ახლო მდებარეობენ რკინის გზებთან, მდინარეებთან და მოხმარების მნიშვნელოვან ცენტრებთან.
2) აგარაკების, რომლების ექსპლოატაცია განზრახული იყო კონცესიური წესით.
3) აგარაკების, რომლებიც ხმარდება სამრეწველო დაწესებულებებს, როგორც, მაგალითად: ქარხნებს, ფაბრიკებს და სხვ.
4) განსაკუთრებული მნიშვნელობის აგარაკებს, რომლებიც საჭიროებენ ხელოვნურ გაშენებას.

ქრონიკა

საქართველოს ცენტ. ალმასკომში.

— **კომისია.** საქართველოს ცენტ. ალმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბიუჯეტო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. საბაშვილი, ეუქიკაშვილი და ბიზინეიშვილი. კომისიას უფლება აქვს საჭიროების მიხედვით მოიწვიოს წევრები კოოპტაციით.

— **სახელმწიფო კუთვნილებათ გამოცხადებული სახლები.** ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი სია იმ სახლებისა, რომლებიც აღიარებულ უნდა იქნენ სახელმწიფო კუთვნილებათ საქართველოს სხვა და სხვა მაზრებში.

სახალხო კომისართა საბჭოში.

— **წითელი ჯვრის შესახებ.** კომისართა საბჭომ დაადგინა, საქართველოს წითელი ჯვრის სასარგებლოდ დაწესებული იქნეს საგანგებო გადასახადი თეატრებიდან, კინო-თეატრებიდან და სხვა საზოგადო საკრებულოებიდან,—5 პროცენტი საერთო შემოსავლიდან, აგრეთვე ტფილისის და რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებში ყველა ლოტოებიდან 5 პროც. და 3 პროცენტი ყოველგვარ საღერბო გადასახადით შემოსულ თანხებიდან. ამ დადგენილების განსამარტავად საქ. წითელ ჯვარის საზოგადოებას უფლება ეძლევა გამოსცეს შესაფერი ინსტრუქციები.

ქალაქის ალმასკომში.

— **დამბების შეკეთება.** ქალაქის წყალსადენის დირექცია შეუდგა დამბების კაპიტალურ შეკეთებას, რომელიც უკუაგდებს მდინარე მტკვარის წყალს და შეამსუბუქებს წყალის მოქმედებას ავჭალის წყალსადენის სადგურის შესართავ არხის მხარისაკენ. მუშაობის შესასრულებლად საჭიროა თანხა 3 მილიარდი მანეთი.

მუშაობა დასრულებულ უნდა იქნას 15 მარტისათვის; უკვე შესრულებულია სამუშაოს 35 პროც.

— **ელექტრონის ახალი ტარიფი.** თებერვალში ელექტრონის ენერგიით სარგებლობისათვის დაწესებულია შემდეგი ტარიფი. იმ ბინებსა და დაწესებულებებისათვის, რომელნიც არ იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე: 1 კილოუატი საათში 15 კაპ. ე. ი. 100,000 მან. ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით, ხოლო თითო სანთლის შუშაზე—20 ათასი მანეთი; იმ დაწესებულებისათვის, რომელნიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან: კილოუატი საათში—20 კაპ. ე, ი. 125 ათასი მან., შუშაზე 1 სანთელ. 25 ათასი მან., და სავაჭრო და კერძო წარმოებებისათვის: 1 კილოუატი საათში—25 კაპ., ე. ი. 150 ათასი მან., ხოლო შუშაზე 1 სანთ.—30 ათასი მანეთი.

ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამართველოში.

— **როსტოვის კანტორა.** სამართველომ დაადგინა, რაც შეიძლება ჩქარა გააფართოვოს თავისი სავაჭრო-საკომისიო კანტორა როსტოვში. ამასთანავე საჭირო თანხაც გადასდოს კანტორის შენობის შესაკეთებლად და გასაფართოვებლად.

— **აბრეშუმის პარკის ოპერაციები.** სასურსათო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამართველომ დაადგინა, მთელი ის თანხა, რომელიც დარჩება მას აბრეშუმის პარკის რეალიზაციის შემდეგ, გადასდოს აბრეშუმის პარკის მომავალ ოპერაციების ფონდის შესაქმნელად.

— **ხორცის მიწოდება დაწესებულებათათვის.** სამართველომ ხელშეკრულება დასდო „ხორც-პროდუქტის“ ამხანაგობასთან, რომელიც ამ ხელშეკრულების ძალით ვალდებულია კარგის ღირსების ხორცი მიაწოდოს სამხედრო ნაწილებს და დაწესებულებებს. იმ შემთხვევაში, თუ „ხორც-პროდუქტი“ კარგს ხორცს არ მიაწოდებს, ადგილობრივვე შედგენილ უნდა იქმნეს ოქმი და გაეგზავნოს სასურსათო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამმართველოს.

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი

„სალომეი“—ოსკარ უაილდის. თარგმანი **პაოლო იაშვილის,** რეჟისორი **ალ. ახმეტელი.** კვირა, თებერვალი 18.

ქართული თეატრი აღარ საჭიროებს კითხვის ნიშანს. ის უკვე ხერხემალ გამაგრებულია და მასზე ეხლა ლაპარაკი შეიძლება მოცემულისა და იდეების მიხედვით. მსახიობებიც ასულნი არიან მოწოდების სიმაღლეზე და მათი თამაში უნდა შეფასებული იქნეს მხოლოდ როლის ინდივიდუალური გაგების კრიტერიუმით, თუ რომელს როგორ ესმის ორეულის გასცენიურება და სახიობის ყალიბი. ამ მხრივ საყურადღებოა კვირის წარმოდგენა „სალომეი“. არსებობს აზრი რომ ეს პიესა არ არის თეატრალური, რომ მასში ცოტაა სასცენო ნაღმები. არის მხოლოდ ნირვანა, და პროცესის სათავე და უკანასკნელი ფარდის დაშვების მიზეზი ქაოტიურია მხოლოდ. პირიქით: „სალომეი“ არის უაღრესათ სცენიური, სავსე დინამიკით რომელიც მოითხოვს მეტ შესაძლებლობას როგორც შესრულების ისე ლადგმის მხრივ. პიესაში უმთავრესად ზოლგავლებულია ორი ნებისყოფა ცის („იოქანაან“) და მიწის („სალომეი“). ამ ორ ინდივიდუმზე იშლება მთელი პროცესი. ტეტრარქი და ეროდეია (იუდეველებით)—არიან მეორე რასის, ხოლო პირველის—ახალგაზრდა სირიელი და პაჟი (ნაზარეველებით). დანარჩენები მასალაა და თვით პიესა ტემპით, ფორმით და განსაკუთრებით-სტილით ჭეშმარიტათ პოეტურია და შედევრის შედეგი. პიესას კიდევ უფრო ფეერიულს ხდის მთვარესთან კავშირი, რომელიც არის მისტიური საშო წინაგრძნობის და მეწამულობის.

„სალომეი“ უსათუოდ არის ამასელი, არაპირდაპირი გაგებით: მას ამძაფრებს მიუწდომელის სურვილი, უკანასანელი ბუნებაა ქალის, მაგრამ „სალომეი“ თითქოს არაბუნებრივია ამით წრესგადასული. თუმცა შეიძლება „სალომეის“ გამართლება რადგან მის ირგვლივ სუნმილებული ყვავილები ეყარა და ღვინის და ისტერიული ვნებით იყო ჰაერი მოხუთული: დანატრებულმა სიყვარულს, რომელიც მიუვალობით მეტი მაგნიტიური ხდება, ველარ დაუდო საზღვარი უჩვეულობას. თამარ ჭავჭავაძემ შესძლო „სალომეის“ ეს ყოფა მოეცა შესანიშნავათ. მას ამისათვის ჰქონდა ენერგია და გამტანიანობა. ხმა და შეხედულობა. მხოლოდ ტეტრარქისათვის ცეკვის დროს საჭიროა მეტი აღვირახსნილი პათოსი, აისადორა დუნკანის ღვედილობა და ნაკვთების სიმძაფრე. აგრეთვე საჭიროა სტიქიური ხმა და ნერვები მოთხოვნის განმეორების დროს, რომ ტეტრარქმა შეასრულოს თავისი დაპირება. მიუხედავათ ამისა, თამარ ჭავჭავაძემ „სალომეი“ გააცოცხლა დიდი მსახიობის პოტენციალური შემოქმედებით.

აკაკი ხორავა („იოქანაან“) ახალი ძალაა და უნდა ითქვას, რომ საუკეთესო მსახიობი დარჩება. მისი იოქანაან ამის თავდებია.

გვქონდა შემთხვევა ადრე აღგვენიშნა აკაკი ვასაძის ნიჭის სიძლიერე. ეს აზრი ყოველ მის გამოსვლით მტკიცდება. მას აქვს თილისმა სახის მიმღეობის და მდიდარი ჟესტიკულიაცია. მან „ტეტრარქი“ სისავსით მოგვცა. განსაკუთრებით შესანიშნავი იყო როცა არანორმალობაში გადადის და ელანდება არ არსებული. აქ ისეთი ოსტატობით ამბობს „ქარიაო“ და ისე განიცდის ამ მოლანდებას, რომ ჰქმნის ნამდვილი ქარის შთაბეჭდილებას. შესანიშნავი იყო აგრეთვე, როცა ახარბებს თავის ზღაპრულ სიმდიდრეებს სალომეის, და სურს გადაათქმევინოს განზრახვა იოქანაანის თავის მოკვეთის.

ნინო დავითაშვილს („ეროდეა“ ცოლი ტეტრარქის, დედა „სალომეი“-ს) ამ როლში უსათუოთ ჰკირდება ხმის მეტი სწორი გამოთქმა და ბგერის სიწმინდე. საერთოთ დამაკმაყოფილებელი იყო.

უნაკლო იყო გიორგი დავითაშვილი (ახალგაზრდა სირიელი). დავითაშვილს აქვს კულტურული ალღო როლის გაგების და უხვი შესაძლებლობა მისი გადმოცემის.

მუშათა ცხოვრება

მეკოლოფეთა კლუბი

მიმდინარე წლის ათ თებერვალს პირველ საბჭოთა კოლოფის ქარხნის კლუბში გაიმართა მუსიკალურ და ვოკალურ-ლიტერატურული საღამო. დადგმულ იქნა ადგილობრივ მუშათა ძალებით ერთმოქმედებიანი პიესა— „დელეგატი“ ქართულ ენაზე. აქაური მუშა-სტუდიელებმა მოაწყვეს და საუცხოვოდ ჩაატარეს აგრეთვე „ინსცენიროვკა“ ბუდდასი, რამაც თავის ცოცხალ სურათებით და მუშა-არტისტების შეუდარებელ თამაშით გამოიწვია დიდი აღფრთოვანება და სიხარული ჩვენ მუშებში. საღამოში იღებენ მონაწილეობას მუშა-დეკლამატორები, რომლების მიერ წაკითხულ იქნა სხვა და სხვა გვარი ლექსები და იუმორისტული კუპლეტები რევოლიუციონურ მოტივებზე. მშვენივრად ასრულებს სიმღერებს ადგილობრივი მუშათა გუნდი. ამის შემდეგ იმართება ცეკვა-თამაში, რომელშიაც ღებულობენ მონაწილეობას მუშათა ოჯახების წევრნიც. აქ ყველა კმაყოფილი და ბედნიერია. ყველას ეტყობა სიცხოველე და ბავშური უდარდელობა.

საღამო დამთავრდა ღამის ორ საათზე და ჩვენი მუშები, დიდად ნასიამოვნები, დაიშალენ თავიანთ ოჯახებში.

ინფორ. ჟ. როტინოვი.

ახირებული სამკითხველო

კახეთის მოედანზე დიდი ხანია არსებობს ბიბლიოთეკა-სამკითხველო. მდებარეობს იგი მთელი ავლაბრის რაიონის ცენტრში და მას აქვს დიდი კულტურული მნიშვნელობა აღნიშნულ რაიონის მუშათა მასისათვის. ამისათვის საჭიროა მეტი ყურადღება ქონდეს მიქცეული იმ ყოვლად დაუშვებელი უწესოებას, რომელსაც აქვს იქ ადგილი.

აი ფაქტებიც: მძიმე შრომით დაღლილი მუშა-მკითხველი მიდის იქ გაზეთ—ჟურნალების წასაკითხავად და ფიქრობს აქ თან დაისვენოს ფიზიკურად და თანაც დაიკმაყოფილოს თავისი მწვავე ცნობის მოყვარეობაც. მაგრამ ამაოა მისი ცდა. აღნიშნულ სამკითხველოდან ღებულობენ სახლში წასაკითხავად წიგნებს აგრეთვე მცირე წლოვანი ახალგაზრდა მოწაფენი, რომელნიც თავისი სრულებით მოურიდებელ და ხმა მაღლა ლაპარაკით არ გვაძლევენ არავითარ საშვალებას რამე წავიკითხოთ. ამ ფრიად არანორმალურ მოვლენის წინააღმდეგ სამკითხველოს გამგე არავითარ ზომებს არ ღებულობს. ამას გარდა, დაუშვებლად და რესპუბლიკისათვის ფრიად საზარალოდ მიგვაჩნია თვით წიგნების გაცემის წესი, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ყველა მსურველს საშვალება აქვს მივიდეს წიგნებთან და თვითონ, სრულებით უშუალოდ, აირჩიოს და წაიღოს წიგნები. ამნაირ უწესრიგობის წყალობით იხსნება ფართე საშვალება ქურდობის და სხვა ბოროტმოქმედებისათვის, ვინაიდან მრავლად მოიპოვებიან ისეთი პირნი, რომელნიც სრულებით არ არიან ღირსნი ასეთი ზედმეტი ნდობისა და წიგნებს ითვისებენ და იპარავენ. ამიტომ ჩვენ, მუშებს რომ საშვალება გვქნეს ამ სამკითხველოთი სარგებლობისა და სათანადოდ იქნას დაცული სახელმწიფოს ლიტერატურული განძი, ჩვენის აზრით საჭიროა შემდეგი: 1) დაინიშნოს მკითხველთათვის განსაზღვრული დრო წიგნების მისაღებად; 2) წიგნების გაცემა უნდა ხდებოდეს სპეციალურად დანიშნულ თანამშრომლის მიერ და 3) გამგის მიერ უნდა იქნას მიღებული უსასტიკესი ზომები სამკითხველოში სიჩუმის და წესრიგის დასაცავად.

მუშა-მკითხველი ცოციანოვი.

ქუჩის ბავშვთა სახლი
№ 10

პახკევიჩის ქ. № 4.

თებერვლის პირველ რიცხვებში მოწვეულ იქნა ამ სახლის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხი: ახალ გახსნილ ბავშვთა სახლების შეერთებული რაიადგილკომის დელეგატის არჩევა. კრებას დაესწრო 45-მდე მუშა-მოსამსახურე; თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. სოხაცკი, მდივნად ამხ. მანაკინა. ბევრი კამათის შემდეგ კრებამ არჩია რაიადგილკომის დელეგატად ამხ. შალვა ძიმისტარაშვილი და მისი მოადგილედ ამხ. ტერზიანი. შემდეგ კრება ახლად არჩეულ რაიადგილკომის დელეგატს ამხ. ძიმისტარაშვილს უსურვებს ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას, რომელიც უნდა იქნეს მიმართული მუშების ინტერესების და შრომის დისციპლინის დაცვისკენ.

ინფ. კორ. ხ. შ.

დროა შოფერები ჭკუაზე მოიყვანონ?

ვინ არ იცის, რამდენი უბედურება და მარცხი დააყარეს თავზე თბილისის მცხოვრებლებს თავგასულ შოფერებმა. რამდენი სრულიად უდანაშაულო პირნი გამოასალმეს მათ წუთისოფელს; რამდენი მუშები და მოსამსახურენი დაასახიჩრეს, დაუკარგეს მათ შრომის უნარი და გახადეს ქუჩის მათხოვრად. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ უბედურებას არავინ არ აქცევს ყურადღებას და გონდაკარგული შოფერები ქველებურად და სრულიად დაუსჯელად განაგრძობენ საზიზღარ და საშინელ „ხელობას“.

თვით მე, ამ სტრიქონების დამწერი, ვიქენ მსხვერპლი შოფერების ბარბაროსობისა. ეს მოხდა მიმდინარე წლის 31 იანვარს რუსთაველის ქუჩაზე მუშათა სასახლის გვერდით, სადაც მე მივდიოდი სამსახურის მოთხოვნილებებისა გამო. მაგრამ მე ეს არ დამაცალა ჩემმა უკულმართმა ბედმა და აღნიშნულ ადგილას შოფერ მაიერის მიერ ვიქენ ავტომობილით გატანილი და სრულიად გათელილი, დასახიჩრებული...

მძიმე წარმოსადგენია ის უკანასკნელი, საშინელი წუთები, როდესაც შეუკავებელი, უსულო, ულმობელი მანქანა თავის საოცარ სისწრაფით და უდარდელ „ჩუქ-ჩუქით“ მოგადგება სიცოცხლის მოსასპობად!

ამ საშინელ წუთებიდან მახსოვს მხოლოდ ერთი: „ავტომობილმა კაცი გაიტანა; უშველეთ ხალხნო! უშველეთ!“ იძახოდა თავზარდაცემული და შიშით მოცული ქუჩაზე მდგომი ხალხი.

ამის შემდეგ რა დამემართა, მე თვითონ არ მახსოვს. გონზე მოვედი მხოლოდ რამოდენიმე საათის შემდეგ ს. რ. ცენტრალურ საავადმყოფოში, სადაც მე, სრულიად გონდაკარგული, ხელ-ფეხ დაჟეჟილი და დამტვრეული წავეყვანე იმავე ავტომობილით... ამ ჟამად კი ცოტათი გამოკეთებული მოგიწოდებთ ყველას, „მიშველეთ ხალხნო, მიშველეთ ამხანაგებო გონდაკარგულ შოფერების ალაგმვაში“!

მუშა ალ ბალიაშვილი.

მშვენიერი იყო სტუდიელი ივლ. თუთბერიძე პაჟის როლში.

საუცხოვო ფიგურა მოგვცა მ. ლორთქიფანიძემ ახალგაზრდა რომაელის (ტიგელინ).

ანსამბლი ჰარმონიულათ აძლიერებდა პროცესს. აღსანიშნავი იყვნენ ჯარის კაცები უ. ჩხეიძე, კ. მიქაბერიძე და სხ. პიესას აძლიერებდა ნუბიელების და იუდეველების თვითბუნებრივი რაზმის გაშლა და ხასიათი. სუსტი იყო ბალეტი. უფრო-ახალგაზრდა ნეგრების ცეკვა. არც კოსტიუმები იყო შესაფერი.

ზედმეტია აგრეთვე „სალომეის“ მოკვლის დროს სინათლის რამდენჯერმე ჩაქრობა და განათება.

დადგმის მხრივ უსათუოთ საყურადღებოა. რეჟისორი ალ. ახმეტელი თავიდანვე განსაკუთრებული იყო. მისი დადგმა „სალომეი“ ნიჭიერი რეჟისორის შედეგია და ახმეტელს უქადის დიდ მომავალს.

თარგმანი პაოლო იაშვილის დახვეწილი ქართულითაა და ლამაზი ენით.

არაფერს ვიტყვით— „როდამზე“, რომელშიდაც აღსანიშნავი იყვნენ ალ. იმედაშვილი, ელ. დონაური, გიორგი დავითაშვილი და დავით ჩხეიძე. თეატრი ხალხით სავსე იყო.

რ. გ.

— **ახალი ოპერა.** ზაქარია ფალიაშვილმა დასწერა ახალი ოპერა „დაისი“ სპეციალისტების აზრით ოპერა შესანიშნავია ყოველმხრივ, განზრახულია მისი ახლო ხანში დადგმა.

— **მომღერალ ქალის მუხტაროვას ბენეფისი.** სახელმწიფო ოპერის თეატრში ამ დღეებში დაიწყება მსახიობების ბენეფისი. ბენეფისები დაიწყება მსახიობი ქალი მუხტაროვას წარმოდგენით, რომელიც იმღერებს კარმენს.

— **რუსი პოეტი კუზინი ტფილისში.** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა რუსეთის ცნობილი პოეტი კუზინი.

— **კ. მარჯანიშვილის დადგმა სახელმწიფო ოპერის თეატრში.** რეჟისორი კ. მარჯანიშვილი უკვე შეუდგა ოპერის თეატრში „ლოენგრინის“ დასადგმელათ მზადებას.

დღეს თეატრებში

სახელმწიფო ოპერა—ფატმან ხანუმ მუხტაროვ ის ბენეფისი „კარმენი“ რუსთაველის თეატრი—„ჩვენებკური“ ქართულ ენაზე. სახალხო სახლი—„პსიშა“ გლაგოლინის და ვალერსკაიას მონაწილეობით. საბჭოთა თეატრი—ქართული წარმოდგენა. პროფკავშირთა კლუბი—პლენუმი. კინო მინიონი—„სიკვდილის აზრი“. არფასტო—„უხილავი ხელი“ მე-5 სერია. კინო ზერკალნი—„ჯუნგლების საიდუმლოება“ მე-5 სერია.

პროფკავშირებში

მეტყავეთა კავშირში.

მეტყავეთა კავშირის კულტურულ განყოფილების წარმომადგენლებმა 29 იანვრის სხდომაზე დაადგინეს: ვინაიდან კავშირის მუშების კულტურული განვითარება მაღლა არა სდგას და საჭიროა ამ მასსების შორის მეტი გათვითცნობიერება ‒ გამოწერილ იქნას წევრებისთვის წიგნები. მათ შორის სომხურ ენაზედაც, რომელიც ძალიან მცირე მოეპოვება კავშირს, გატარდეს ცხოვრებაში ლექციების მოწყობის სისტემატიური კომპანია. კოლეგიას მიენდოს შეიმუშავოს ამისთვის სპეციალური თემები, მოხსენებები, რომელიც საინტერესო იქნება მუშებისთვის.

მიაქციოს ყურადღება კულტ. განყოფილებამ რათა თეატრის ბილეთები ურიგდებოდეთ კავშირის წევრებს წესიერად და თითო ბილეთზე გადიხადოს ათასი მანეთი. კოლეგიასვე დაევალა აწარმოოს მოლაპარაკება ნარიმანოვის კლუბის ადმინისტრაციასთან, კლუბის დათმობის და საკლუბო მუშაობის დაწყობის შესახებ.

ფეიქართა კავშირში.

ფეიქართა კავშირის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: მოისმინა რა მოხსენება ამხ. მაჩაბლის შინა მრეწველობის განყოფილების გამგისა, მიწად-მოქმედების კომისარიატთან არსებულ შინა მრეწველობების განყოფილების ქარხნის მდგომარეობის შესახებ, ფეიქართა კავშირის პრეზიდიუმს გამოაქვს შემდეგი დადგენილება. ა) წინადადება მიეცეს შინა მრეწვ. განყოფილების ქარხნის გამგეს სამი დღის განმავლობაში მოიწვიოს კომისია ქარხნის რემონტის საკითხის გადასაწყვეტად, ბ) წინასწარ აღებულ იქნას ამ საქმისთვის შესაფერისი თანხა, გ) შემდეგ სხდომისთვის წარმოდგენილ იქნას მოხსენება ქარხნის რემონტის სამუშაო გეგმისა.

ამას გარდა პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო შეაერთოს საფეიქრო დაწესებულებები ერთ ფეიქართა ტრესტში, რომელიც დაარსებული იქნება სახალხო სამეურნეო უმაღლეს საბჭოსთან, რომლის ფუნქციაში შევა გაერთიანება ყველა იმ საფეიქრო დაწესებულებების, რომელიც კი არსებობენ საქართველოში, განაწილება იმ მასალის, რომელიც მიღებულ იქნება მოსკოვიდან და აღადგინოს პროვინციაში მყოფი გაჩერებული სახელოსნოები.

ალმშენებლობითი კავშირში.

იანვრის თვის რიცხვებში ალმშენებლობითი კავშირში ჩაეწერა 300 კაცი. ამ რიგად ალმშენ. კავშირის წევრთა რიცხვი დღეს უდრის 1675 კაცს. ამავე თვის განმავლობაში კავშირმა გაატარა არჩევნების კომპანია. პროვინციაში არჩევნების კომპანია გატარდა შემდეგ ადგილებში. ბათომში, ქუთაისში, ფოთში, ახალ-სენაკში და გორში. ყველგან ეს საქმე ბრწყინვალედ დაგვირგვინდა. ტფილისში არჩევნების კომპანია დაიწყო ყველა უჯრედების მუშაობის გადათვალიერების შემდეგ. იანვრის განმავლობაში აირჩა ხელახლად 3 რაიონული კომიტეტი და 2 ადგილკომი. არჩევნებმა მიაღწია თავის მიზანს ახალი წევრები დაინტერესებულნი მუშაობენ კავშირის ახალი გეგმებისთვის და მუშაობა ამ მხრივ გაცხოველებულია. ალმშენებლობითი ორგანიზაციების მოგვარება სატარიფო-ეკონომიურმა განყოფილებამ პირველ მოთხოვნილების საჭიროების საკითხად დასვემა და სასწრაფოდ ცდილობს გაატაროს ყრილობის და პლენუმის დადგენილებანი და დირექტივები. შედგენილია საერთო სქემა ალმშენებლობითი დაწესებულებების საორგანიზაციოდ. კავშირის ცენტრალურ გამგეობამ დაადგინა ალმშენებლობითი მიზნით შეიყვანოს თავის წარმომადგენელნი ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ ალმშენებლობითი კომიტეტში და აგრეთვე გორის ალსადგენ და აგარაკ არაბინდის კომიტეტებში, ალმშენებლობითი დაწესებულებების საკანტროლოდ დაწესებულია კომისია 3 კაცისგან შემდგარი, რომელმაც უკვე ანგარიში გაუწია ქსნის ქირხანას და ბადიაურის წისქვილს. იანვრის თვის განმავლობაში კულტურულ განყოფილებამ გახსნა პროფ. ტეხნიკური კურსები, რომელთა მსმენელები უდრის 40 კაცს გატარდა პროფ. ტეხნიკურ სწავლის კომპანია ყველა რაიონებში. განზრახულია მოწვევა კულტკონფერენციის. იანვრის განმავლობაშივე წერაკითხვის უცოდინართა რიცხვი უდრიდა 144 კაცს. ქსნის ქარხნასთან არსებულ სკოლას დაეთმო ახალი შენობა. მიეცა საჭირო ავეჯეულება და სხვა ნივთები.

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში.

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე დაადგინა: წინადადება მიეცეს სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებას მუშათა მთლიან კოოპერატივთან კოლექტიურ ხელშეკრულების დადების დროს გაატაროს ცხოვრებაში ის მუხლი რომელიც ეხება 2 პროცენტის გადახდას კულტმუშაობის სასარგებლოთ. პროლეტკულტის საღამოს გასამართავად კავშირმა თავის კასიდან გადასდო 10 მილიონი მანეთი.

პროვინციაში

საციხურის თემი (გორის მაზრა)

მიმდინარე თებერვლის 11-ს, გაიმართა ს. საციხურში სახალხო მიტინგი. დაესწრო 330 კაცი.

დღის წესრიგი: 1. რელიგია და მეცნიერება. 2. ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ. 1-ლ საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ალმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ალექსანდრე ცაბაძემ. მან გაარჩია კითხვები: როგორ გაჩდენ ადამიანები; ადამიანების ცხოვრება ძველათ და მათი განვითარება; როგორ გაჩინეს ღმერთები; „წმინდანების“ ბიოგრაფია; ბატონყმობა, მეფეები, მემამულეები და სამღვდელოების როლი; სამოთხეჯოჯოხეთის შესახებ; ბიბლის შინაარსი; საეკლესიო წესები: ზიარება, ნათლის-ღება, ჯვრისწერა, დღესასწაულები და სხ. მოხსენება მეტათ შინაარსიანი იყო, და დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე გლეხებზე. მოხსენებას დაესწრენ მღვდლებიც. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ალ. ცაბაძისა ჩვენ მშრომელი გლეხობა, დღემდის დაბეჩავებულნი და მღვდლების ზეგავლენით გონება დახშულნი, მოკლებულნი მეცნიერულ აზროვნებას, დავრწმუნდით, რომ სარწმუნოება მთელი ცრუმორწმუნეობით იყო და არის მშრომელი ხალხის გონების საწამლავი და ბანგი, გამოგონილი მუქთა-ხორებისაგან თავიანთ საკეთილდღეოთ და მშრომ. ხალხის დასაშინებლათ. მთელი სამღვდელოება თავიანი ლოცვაკურთხევით მუდამ იყო კაცობრიობის წინსვლის შემაფერხებელი და ერთგული დამცველი მემამულე-ბურჟუაკაპიტალისტებისა. ამ უტყუარი სინამდვილით დარწმუნებულნი ჩვენ უცხადებთ სასტიკ ბრძოლას სარწმუნოებას და სამღვდელოებას, და ჩვენ გულიდან ვიფხიკავთ მათ ცრუ-ლოცვა-კურთხევას. ძირს სარწმუნოება!

გაუმარჯოს მეცნიერებას! გაუმარჯოს მშრომელი ხალხის გათვითცნობიერებას“!

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. ცაბაძემ, რომელმაც გააცნო დამსწრეთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის მნიშვნელობა, და ბაქოს ყრილობის ანგარიშები. შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„—მიტინგი სრული კმაყოფილებით, და ენტუზიაზმით ეგებება ამიერკავკასიის ფედერაციას, როგორც მჭიდრო კავშირს მშრომელი ხალხისას და უტყუარ ფაქტს ბურჟუაზიის სამუდამოთ განადგურების და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისას.

გაუმარჯოს მშრომელი ხალხის სოლიდარობას“.

ასეთი მიტინგი ჩატარდა საციხურის თემში სამ-ადგილას, რომელზედაც გამოტანილია ამ შინაარსის რეზოლიუციები.

ა. ც.

გომი

კვირას 11 თებერვალს გომს ეწვიენ არა ჩვეულებრივი სტუმრები. რევოლიუციის ბელადი ჭალარა მიხა ცხაკაია ვანო სტურუა და ივანოვ-კავკასკი. დილიდანვე ხალხმა იწყო დენა გომში მახლობელ სოფლებიდან და სრულ 12 საათზე თითქმის ორი ათასმდე კაცმა მოიყარა თავი, მოდიოდენ წითელი დროშებით და ზურნით კომ-უჯრედის წევრები, ძვირფასი სტუმრების სიტყვის მოსასმენათ. საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. მიხა ცხაკაიამ, მან ფართოდ გააშუქა წარსული არა ლეგალური მუშაობა კომ-პარტიისა, დაახასიათა მენშევიკების მოქმედება საქართველოში და მათი მუშაობის შედეგები.

ხალხი გულმოდგინეთ უსმენდნენ ამხ. მიხას ყოველივე სიტყვას. მოხსენების გათავების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია. მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. მიხა ცხაკაიასი ჩვენ გომის და საციხურის მშრომელი გლეხობა დარწმუნებულნი მენშევიკური პარტიის სიკოტრეში და მის დემორალიზაციაში, დარწმუნებულნი მათ გამყიდველ პოლიტიკაში და შოვინისტურ სულისკვეთებაში, ზიზღს ვუცხადებთ საერთაშორისო მენშევიზმს და მის სულის ჩამდგმელ ყვითელ ინტერნაციონალს და ვალიარებთ, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოები არის ერთად ერთი გზა მშრომელთა დიადი მიზნის განსახორციელებლათ.

ზიზღს გამოვსთქვამთ საფრანგეთის პოლიტიკის გამო რურში, მზათ ვართ რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ მუშურ-გლეხური ხელისუფლების შესანარჩუნებლად. გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა მოძრაობას და მის შტაბს მე-3 ინტერნაციონალს“.

ამის შემდეგ მიწის საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვანო სტურუამ. ხალხი დიდი ყურადღებით უსმენდა ამხ. სტურუას სიტყვებს და მოხსენების შემდეგ ცხოველი კამათი გაიმართა გლეხობის შეკითხვების გამო. ამხ. სტურუმ ყველა კითხვებზე სათანადო პასუხი გასცა. შემდეგ მიღებულ იქნა ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა ამხ. სტურუას მოხსენება მიწის საკითხის შესახებ, ჩვენ გომის და საციხურის თემების მშრომელი გლეხობა აღფრთოვანებით ვეგებებით მიწის რეფორმას და ვაღიარებთ, რომ ეს ერთად ერთი გზაა რომელიც სწორეთ და მიზანშეწონილად სწყვეტს მიწის კანონს და მის რევოლიუციონურად გადამწყვეტ მთავრობას, გაუმარჯოს მე-3-ე ინტერნაციონალს საერთაშორისო მუშათა შემაერთებელ ორგანოს და მის იდეურ ხელმძღვანელებს ამხ. ლენინს, ტროცკის და ზინოვიევს.

მიტინგი დაიშალა ნაშუადღევის სამის ნახევარზე. იმავე ღამით ამხანაგები დაბრუნდენ თბილისში.

დუშეთის მაზრა.

დუშეთის მაზრა თავის გეოგრაფიული მდებარეობით ძალიან განირჩევა საქართველოს სხვა მაზრებიდან. მიუვალ მთა კორტოხებზე მიფანტულ მოფანტული სოფლის ათეულ ათასიანი მცხოვრებნი დღესაც განიცდიან კარჩაკეტილ და ჩამორჩენილი ხანის მზგავს ცხოვრებას.

მიზეზი ამისა, რასაკვირველია, არის რიგიანი გზების უქონლობა და სწავლა განათლების საქმის მოუწყობლობა. ამის გამოსასწორებლად ადგილობრივ ხელისუფლებას ენერგიული ზომები აქვს მიღებული.

მაგრამ არის ეკონომიური დარგის ერთი მხარე, რომელიც ღვთის ანაბარადაა ყველასაგან დატოვებული და თუ მას ეხლავე ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა, მშრომელი გლეხობის მდგომარეობა ამ მაზრაში წინ ველარ წაიწევს, ხოლო ჩარჩები და ძველი ნაძირალები კი საკმაოდ ხელს მოითბობენ. საქმე გახლავთ შემდეგში: ეს მაზრა ხორბლეულობის მოსავლით მაინც და მაინც ვერ არის მდიდარი. პირიქით. ზოგიერთ რაიონებში, როგორიცაა, მაგ. ფასანაური, მლეთი, კობი და ყაზბეგი, ორი თვის სარჩო პური ძლივს მოყავთ. სამაგიეროდ მთელი მაზრა მდიდარია მესაქონლეობით.

ერბო, კარაქი, ყველი, მატყლი, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლები აქაურებს ბლომად მოეპოვებათ და ოჯახიდან ზედმეტი გამოაქვთ ბაზარში გასასყიდად ანუ გადასაცვლელად მანუფაქტურულ ნაწარმოებზე. მაგრამ აქაურ ბაზარში მათ არა ხვდებათ ისეთი ორგანო ანუ პირი, რომელმაც იოტის ოდნად მაინც შეაფასოს სოფლის ნაწარმოები და ამის დამიხედვით აიღოს იგი.

აქაურ ზოგიერთ „კულაკებს“ ეს სოფლის მშრომელნი ისე ყავთ ხელში ჩაჭერილი და მოჯადოვებული, რომ მათი ამ მდგომარეობიდან გამოხსნა, მართლა რომ არც ადვილი საქმეა.

ფასანაურში მე ჩემის თვალით მინახავს, როცა იქაური ვაჭარ გიგო კობაიძეს შორეულ სოფლიდან ჩაგოუტანეს მატყლი და ერბო. კობაიძემ იცის გულუბრყვილო სოფლელის მოხიბლვა.

ის ჯარასავით ტრიალს იწყებს.

„ბიჭებო, აბა თქვენ ეხლა გაციებულები ხართ. მოდით ცეცხლზე გათბით, არაყიც დალიეთ, დაისვენეთ და საქონლებზე შემდეგ ვილაპარაკოთო“—ეუბნება ჩამოსულთ. არაყს ღვინო მოყვება და სულ ბოლოს იმართება ვაჭრობა.

გიგო, ჩვენ ხომ ვიცით, რომ შენ არ მოგვატყუილებ, შინა გვჭირია, შენი ჭირიმე, მარილი და ნავთი და ეხლა შენ იცი, როგორც გენებოსთ. მიუგებდნენ სოფლელნი. ვაჭარი თავისთვის იწონის მატყლს და ერბოს, შემდეგ კი ჩამომტანს აძლევს მარილს და ნავთს. მაგრამ მაშინ ჩემი განცვიფრება გამოიწვია იმან, რომ სოფლელთ არ მიუღიათ მარილი და ნავთის წონა მატყლი და ერბოზე ზედმეტი. ამ რიგად, ეს ჩარჩები თავიანთი დახლის საქმეს აგვარებენ და „პატიოსნობასაც“ იმსახურებენ.

ქ. დუშეთში ერთს დედაკაცს ქათამში ორჯერ იმაზე მეტი შეაძლიეს, რასაც ის თვითონ აფასებდა, მაგრამ დედაკაცმა ქათამი არავის დაუთმო იმ მოსაზრებით, რომ მას ყავს ნაცნობი ვაჭარი, რომელიც სამაგიეროდ მისცემს, სამ გირვანქა მარილს...

ამ რიგად სოფლის ძვირფასი ნაწარმოებებს ხალს სტყუებენ ჩალის ფასად. მუშათა კოოპერატივი აქ შვიდი თვეა რაც გაიხსნა, მაგრამ უსახსრობის გამო სულს ლაფავს. არც ერთი ორგანო მას დახმარებას არ უწევს. ცენტრალურ სამრეწველო ორგანოებს, როგორიც არის სასურსათო კომისარიატი და ცეკავშირი, ყველა მაზრებისათვის ერთი და იგივე საზომი აქვთ აღებული, და როცა დახმარებისათვის მიმართავენ, მაშინათვე მოახლიან: „ადგილობრივად მოაწყვეთ ყოველივე, შეიძინეთ წევრების და სხვათა საშუალებით თანხა და როცა დავინახავთ, რომ საქმე კარგათ მიდის, შემდეგ ჩვენც დაგეხმარებითო“. ამ ნაირად შეიძლება ეპასუხოს ისეთ მაზრებს, რომლებიც კულტურის მხრივ წინ დგანან და კოოპერატივებს დიდი ხნის ტრადიცია აქვთ. ხოლო როცა ამას დუშეთს და ამგვარადვე ჩამორჩენილ მაზრებს უპასუხებენ, ეს არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გვერდის ავლა.

საკმაო საწარმოვო თანხა, რომ აქ წევრთაგან იქნას შეძენილი შეუძლებელია. ვინაიდან არ არის საამისოდ მცხოვრებთა სურვილები განწყობილ მომზადებული. სამაზრო ალმასკომს კი არავითარი სახსარი არ მოეპოვება დასახმარებლად, პირიქით თვითონ დიდ გაჭირვებას განიცდის.

მიმდინარე წლის 22 იანვარს სამაზრო პარტკომთან არსებული კოოპერატივების მომწყობ კომისიამ, სადაც შედის სამი ამხანაგი დაადგინა: გახსნილ იქნას კოოპერატივები საგურამოში, მუხრაანში, ფასანაურში და მცხეთაში. საწევრო გადასახადად დააწესეს სამასიდან ხუთას ათას, მანეთამდე. გაინაწილეს კიდეც რაიონები მოსაწყობად... 21 წლის გადატრიალების დროს, ის კოოპერატივები, რომლებიც ბოგინობდნენ რაიონებში, მოსპობილ, დატაცებულ იქნენ. და დღეს ცოტა არ იყოს ამ ნიადაგზე მუშაობას მცხოვრებნი ალმაცერად უცქერიან, რის გამოც, რაც უნდა ძლიერი ენერგია მოახმარონ ადგილობრივებმა, დადგენილება დადგენილებად დარჩება და საქმეს არა ეშველება.

ცენტრს რომ ქონდეს რიგიანად შესწავლილი ამ მაზრის ეკონომიური მდგომარეობა აუცილებლად მიიღებდნენ რაიმე ზომებს და, თუ მაინც და მაინც კოოპერატივებისათვის არაფერს გაიღებდნენ, თვითონ მაინც გახსნიდნენ სავაჭროებს ანუ გადასაცვლელ პუნქტებს. და თუ ისინი დღეს თავიანთი თფილისის მშვენიერი სავაჭროებიდან იღებენ საქანლის ნაცვლად ბონებს, ამ მაზრიდან კი მიიღებდნენ ერბოს, მატყლს, ხორცეულობას და სხვა პროდუქტებს. თანაც სოფლის მშრომელი მასსა აცუებოდა „კულაკების“ ანკესებს.. ამით წინ წაიწევდა მაზრა ეკონომიურად და ეს სახელმწიფოსაც ბევრ რამეს შემატებდა.

კიდევ არ არის გვიანი. ჯერ კიდევ შესაძლებელია აქ საქმის ამ ხრივ კარგ დონეზე დაყენება და ცეკავშირი იქნება, ის თუ სასურსათო კომისარიატი, ეხლავე რომ გამონახავდეს სანდო-გამოცდილ პირს და ამ მაზრის სხვა და სხვა რაიონებში გააჩენდეს მანუფაქტურულ საქონლებს, მარილს, ნავთს და სხვას, ისინი ათჯერ მეტ მოგებას ნახავენ, ვიდრე თფილისის სავაჭროებიდან, რომლითაც მეტ შემთხვევაში სარგებლობენ მხოლოდ შეძლებული კლასები.

და ჩვენ ვფიქრობთ: ცენტრალური სავაჭრო ხასიათის ორგანოებთან დუშეთის მაზრის კითხვა დადგება პირველ რიგში და მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება. მით უმეტეს იმ დროს, როცა ცეკავშირი აცხადებს: „ვამზადებთ, როგორც ნედლეულობას, ისე ადგილობრივი ნაწარმოების ყოველგვარ პროდუქტებს“. და მართლაც ვისაც სურს ადგილობრივი ნაწარმოების პროდუქტების შეძენა, დამზადება, მან პირველ ყოვლისა დუშეთის მაზრას უნდა მოაშუროს.

ი. კ—შვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— სამანდატო კომისია აცნობებს პარტკონფერენციაზედ არჩეულ დელეგატებს, რომ მანდატები მიეცემათ რაიონულ კომიტეტებში მხოლოდ სადელეგატო ანკეტების შევსების შემდეგ.

სამანდატო კომისია.

— ქალ. თბილისის და მისი მაზრის პარტიულ კონფერენციის გახსნის გამო 20 თებერვლისათვის დანიშნული საქართველოს პროფკავშირთა პლენუმის სხდომა გადაიდვა 22 თებერვლისათვის და შედგება საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში.

დღის წესრიგში სდგას:

1. მოხსენება სრულ. რუსეთის ცენტრ. პროფკავშირთა საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს პლენუმის შესახებ.
2. საბინაო განყოფილების გაუქმების შესახებ.
3. სახელმწიფო მომგებიან ოქროს სესხის შესახებ.
4. მიმდინარე საქმეები.

რადგან განსახილველი მეტად მნიშვნელოვანია, სავალდებულოა პლენუმის ყველა წევრთა დასწრება.

სასურველია აგრეთვე ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების და ადგილკომების წევრთა დასწრება.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გუგუშვილი.

მარქსისტულ წრეების მეცადინეობის ცხრილი.

1923 წ. 18—25 თებერვალი.

სამშაბათს, 20 თებერვალს, საღამოს 5 საათზე გაიმართება განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილების სამმართველოს წრის კრება საქ. კომპარტიის ბინაზე. ხელმძღ. ამხ. გალკინი.

ოთხშაბათს, 21 თებერვალს, საღამოს 7 საათზე. „სკოლის გარეშე სწავლების“ სახლში გაიმართება სკოლის გარეშე სწავლების მუშაკთა წრის კრება. ხელმძღვანელია ამხ. პენიაკოვი.

ოთხშაბათს, 21 თებერვალს, საღამოს [illegible] საათზე გაიმართება ბეჭდვითი საქმის მუშათა წრის კრება. ხელმძღვან [illegible]

საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტ. სააგიტ.-საპროპაგ. განყოფილება.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი სიმონ, დათიკო, კოწია ვლადიმერის ძენი ავალიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი რძლის
მარგალიტა ჯიბრაილის ასულის
ავალიანის
გარდაცვალებას. გამოსვენება სამშაბათს, 20 თებერვალს დილის 10 საათზე გინეკოლოგიური კლინიკიდან (ოლღის ქუჩა,) დაკრძალვა ვერაზე ნიკოლოზის სასაფლაოზე.
(144—1—1)

დღეს, 20 თებერვალს,
სახელმწიფო
ოპერა
კარმენ
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზ
კრ. 199—1—1

იყიდება კარგათ მორთული
სახლი
თავისუფალი ბინებით. ვისაც სურს ხელსაყრელად იყიდოს და გაყიდოს, უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2, 11—2 და 5—7 საათამდე.
(141—3—1)

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების გამგეო
ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ თანახმად აქციონე
მე-4 არაჩვეულებრივი საზოგადო კრების დადგენილებ
ყველა აქამდე გაცემული საზოგადოების მიერ აქცი
დროებითი მოწმობები, დღიდან ამ განცხადების გამოქ
ნებისა, ითვლება გაუქმებულად. გაუქმებულ დროებითი მ
წმობების ნაცვლად სააქციო საზოგადოების გამგეობა გ
ცემს ახალ დროებითი მოწმობებს, რომელთა დარიგების
სი და დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.
№ 142 3—2 ს. ს. გამგე

ვადგენ ახალ მოსამზადებელ ჯგუფებს მომავალ სამოსწავლო წლისათვის ტეხნიკუმ., მუშფაკულტ., სამხედრო სასწავ., საზებიო ინსტიტ-ში, შრომის სკოლაში, საერთო კურსებზე შესასვლელად მე-5, მე-6, მე-7 კლასში და
მათემატიკაში.
(არითმეტ. ალგებრა გეომეტ. და ტრიგონ.)
რუსულ, გერმანულ ენებში ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებ
ჩაწერა და მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. პლეხანოვის და ალექს
ქუჩის კუთხე № 25 და 5. (128—4—4)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდ
ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძ
ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (733—25—1

მე-2 საკონსულტაციო-საექიმო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
ვ. ვ. შენგელიძესი და ექიმი ვ. გ. მეუნარგია
მიიღებიან ბავშვები ყოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის.
ყოველ დღე გარდა უქმეებისა საღამოს 5—6 საათამდე ბელინს
№ 22 ტელეფ. 1—44. (77—25—17)

დოკტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტისა
ზ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჭლექი და გულის—სპეციალური წამ
მალარიისა შეშხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამ
კაბინეტი.
იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.
ბებუთოვის ქუჩა № 23. (684—25—

დადგენილება № 23

1923 წ. 11 თებერვალი.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა ს. ს. ს. რ. რევკომის 1921 წ. 5 ივლისის დეკრეტის № 42. თანახმად და დამატებათ თავის დადგენილებისა წარმოებათა ნაციონალიზაციის შესახებ,

დაადგინა

გამოაცხადოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრებათ აჭარის სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ აღრიცხვაზე აღებული

ყოფ. არვანიტიდის ბიდონის ქარხანა

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე: [illegible]
ს. მ. უ. ს. საქმეთა მმართველი ნ. კალატოზოვი.

კრ. 109—1—1

ტირაჟი 10,000 ნ. ს. ლ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.